3-47

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

1928 სახელგამი № 14

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითოეულმა გავმმა

# უნდა გამოიწეროს და იკითხოს

ორკვირეული ჟურნალი

# „პიონერი“

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:


| | გვ. |
|---|---|
| 1. დიდი ვაკე — დ. ციცქიშვილის | 2 |
| 2. პიონერი სოფლად — ლექსი — გ. სიოშვილის | 4 |
| 3. ჟუჟა — (დასასრული) მ. ზასი. | 5 |
| 4. მაფალდას დაღუპვა | 8 |
| 5. პიონერი გოგია — ს. ერთაწმინდელის | 14 |
| 6. გავხდეთ ჯანსაღი და ძლიერი | 17 |
| 7. ბავშთა საერთაშორისო მოძრაობა | 19 |
| 8. მოახლოვებულია „თავდაცვის კვირეული“; ვისწავლოთ სროლა | 21 |
| 9. ხეხილის მოვლა-მოშენება | 22 |
| 10. ჭადრაკი. | 24 |

## 1. საბჭოს კრებაზე.

ანდროს სწყინს საზაფხულოდ დათხოვნა, ამხანაგების ჩამოშორება. შინ მას ბევრი სამუშაო ელის. აბა, მარტო უფროსი ძმა ლეო რას გააკეთებს, მას მოხმარება სჭირდება. ყანები გასამარგლავია და ვენახი გამოსათოხნი.

მაგრამ მაინც მხიარულია ანდრო. თავის ამხანაგებთან ერთად სასწავლებლის ეზოში გამოვიდა.

— შეასრულებ იმ დავალებებს, რაც მასწავლებელმა მოგვცა?—შეეკითხა ანდროს პალიკო.

— რატომაც ვერ შევასრულებ, ყველაფერს შევასრულებ, შენ ჯავრი ნუ გაქვს!

— იცი, ანდრო, მოდი ერთად ვიმუშაოთ ხოლმე, ჰა?

— კარგი!

— ხვალიდანვე დავიწყოთ მუშაობა!

— მაგრე ვქნათ!

— ხვალ თემსაბჭოს კრებაა და აუცილებლად დავესწროთ, ჩავიწეროთ, რა საკითხებიც გაირჩევა; ერთ-ერთი დავალება ხომ ეს არის, რომ საბჭოს არცერთი კრება არ უნდა გამოვტოვოთ და როცა მივალთ შემოდგომაზე სკოლაში, ანგარიში უნდა ჩავაბაროთ მასწავლებელს, თუ საბჭოს რამდენი კრება მოხდა ამ ხნის განმავლობაში, რამდენი კაცი ესწრებოდა ხოლმე საშვალოდ, რამდენი საკითხი გაირჩა და ბევრი სხვა. ყველაფერი აქ მიწერია, ამ რვეულში.

— ჩინებული აზრია!

— ამხანაგებო, კრებას გახსნილად ვაცხადებ. დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები: ჩვენი სოფლის ტბის გაშრობა, მარელისის ღუნვილი ავეჯეულობის ქარხნის შესახებ და მიმდინარე საკითხები. ტბის გაშრობის შესახებ და მის მნიშვნელობაზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. იოსები.

ანდრო და პალიკოც აქ იყვნენ. იოსებმა დაიწყო მოხსენება ტბის ამოშრობის მნიშვნელობის შესახებ და მის შესახებ, თუ რა ზიანს აყენებს ეს ტბა იმ სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობას.

მოხსენების და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ერთხმად მიიღეს დადგენილება, რომ ტბის გაშრობისათვის გადაედგათ შესაფერი ნაბიჯები, რის გამო არხის გაჭრისათვის უნდა გამოეყენებიათ 5-დღიანი საყოველთაო საგზაო ბეგარა.

მარელისის ღუნვილი ავეჯეულობის ქარხნის შესახებ მოხსენება გააკეთა მასწავლებელმა დიმიდემ.

„აქამდე ჩვენ უცხოეთიდან შემოგვქონდა ღუნვილი სკამები და სხვა ავეჯი, ახლა აქ გაკეთდება ყველივე ეს, ჩვენ „დიდ ვაკეში“. ეს დიდი ბედნიერებაა ყველასათვის. ჩვენმა სოფლებმა მას საჭირო მუშა-ხელი უნდა მიაწოდოს· ჩვენ უნდა ავირჩიოთ განსაკუთრებული კომისია, 3 ან 5 კაცის შემადგენლობით, რომელიც შეარჩევს მუშა-ხელს და ქარხნის ამგებ ინჟინრებთან გააგზავნის.

ყველანი თანახმა გახდენ და აირჩიეს კიდეც კომისია.

შემდეგ კრება დაიხურა.

პატარა ვაკე, „დიდი ვაკედ“ წოდებული, მარელისიდან 3 ვერსითაა დაშორებული. ის მდებარეობს ხარაგაულსა და მარელისს შუა. მას უახლოვდება მოლითის და ლელვან-მარელისის მთები, სადაც აუარებელი წიფლის ტყეა, რისგანაც ღუნვილი სკამები კეთდება.

ამ მთების ახლოს საბჭოთა მთავრობამ მიზანშეწონილად სცნო ღუნვილი ავეჯეულობის ქარხნის აგება, რისთვისაც უცხოეთიდან გამოიწვია სპეციალისტები—ინჟინრები—და დაუღალავი ენერგიით შეუდგა საბჭოთა სოფლის აყვავების საქმეს.

## 2. ᲥᲐᲠᲮᲜᲐ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ.

გავიდა ხანი. „დიდ ვაკეში“ სწრაფად მიდიოდა წინ მუშაობა. დადგა ის დღეც, როდესაც, ქარხნის საყვირმა პირველად დაიგუგუნა, შეატყობინა ახლო-მახლო სოფლებს მუშაობის დაწყება. ლეო სასწრაფოდ წამოდგა და ჩაცმა დაიწყო. საყვირმა ანდროც გამოაღვიძა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—რა იყო ეს, რა ყვირის ასე უცნაურად?— შეეკითხა იგი თავის ძმას.

— ქარხანა ამუშავდა. ჩვენ, მუშებს, გვატყობინებს, რომ დროზე გამოვცხადდეთ სამუშაოზე.

იქ რომ პატარა მრგვალი შუშებია ჩამოკიდებული, იმით, თურმე, ელექტრონი ანათებს ღამით, არა, ლეო?

ლეო პირველად პრაქტიკაზე მუშაობდა, კარგად შეისწავლიდა ამ საქმიანობას, შემდეგ კი დვილი ოსტატი და დაზგის მუშა გახდა.

აქვე ჩამოყალიბდა აგრეთვე კომკავშირის რედიც, სადაც აქტიურად მუშაობდა ლეო.

კარგი ნდობა ჰქონდა მას დამსახურებული ვის ამხანაგებში, ყველანი თანაუგრძნობდენ და რებოდენ.

პიონერები მიემგზავრებიან კოჯორში სააგარაკოდ.

— ელექტრონი იქ კი არა, აქაც უნდა გამოვიყვანოთ და გავანათოთ ჩვენი სოფელი. იქ რომ ელექტროს მანქანა დგას, იმდენი ელექტრო-ძალის მოცემა შეუძლია, რომ ჩვენ სოფელსაც ეყოფა სინათლედ და იმ ქარხანასაც.

— ისემც რა გითხრათ, რაც აქ ელექტრონი არავინ გამოგიყვანოსთ, ტყვილა თავს ნუ იღლავთ ზედმეტი ლაპარაკით, ჯერ მე არცერთ სოფელში არ მინახავს ელექტრონი!—შენიშნა მართამ.

— დედილო, აბა მოიცადე ამ ერთ წელიწადს და დაინახავ, როგორ განათლდება ჩვენი სოფელი. შენ არ გჯერა, მაგრამ, ჩვენი მთავრობა სოფლის აყვავებისათვის თავის ძალ-ღონეს არ ზოგავს,—უპასუხა ლეომ.

ლეო და პალიკო ქარხანაში შევიდენ.

— უჰ, როგორ ცხელა, სულ ოფლითაა ... ურობა სავსე, მე ვერაფერს ვარჩევ!—წამოიძახა ... ლიკომ.

— ეს სახარშავი ამქარია ასე ჰქვიან იმიტ... რომ აქ ხეები იხარშება; ხე მოხარშვის შემდეგ ... რო ძარღვიანი ხდება და იდვილია მისი მოღვე... ხომ ხედავ ამ ვეებერთელა ქვაბებს! მუშები თავ... სპეც-ტანისამოსით ქვაბებს გარშემო უტრიალებ... და წიფლის ხეებს ხარშავდენ.

— ახლა გავიდეთ მეორე განყოფილებაში, რ... მელსაც სახარატო ამქარი ეწოდება, სკამის თითო... ლი ნაწილი აქ ცალ-ცალკე მზადდება. მხოლოდ

ბოლოოდ სკამი ან სხვა რომელიმე ავეჯი ამწყობ ამქარში კეთდება.

პალიკოს წინ სახარატო მანქანები იდგა. თითოეულ მანქანას თითოეული თავისი მზრუნველი მუშის ხელი არ შორდებოდა. მანქანა ერთ წუთში ამზადებდა სკამის ნაწილებს.

— აი, ეს მესამე განყოფილება ამწყობი ამქარია. აქ თავს იყრის სკამების მზა ნაწილები და აი, ასეთი მანქანების საშუალებით, ეს ნაწილები ერთ წუთში ერთმანეთს შეუერთდება, ვღებულობთ უკვე მზა სკამს, მხოლოდ გაულაქავს.

პალიკო თვალყურს ადევნებდა, თუ როგორ სასწრაფოდ ააწყო ერთმა მუშამ სკამების ნაწილები და გამზადებული სკამი სალაქავი ამქარისაკენ გაისროლა.

— იქ რაღაა?—შეეკითხა იგი ლეოს.

— ახლა აქეთ გავიდეთ, ეს გახლავთ სალაქავი ამქარი. ხედავ, როგორი გამალებით ლაქავენ ქალები მათ, რისგანაც ეძლევათ სკამებს ასეთი სილამაზე? აქედან ჯერ გაუმშრალი სკამები მიაქვთ ფარდულში, სადაც ისინი შრებიან.

ასე მზადდება აქ დღეში 250—300 სკამი, რომელიც საბჭოთა ბაზარს არც კი ჰყოფნის; ჩვენ მოგვდის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა დაწესებულებებიდან შეკვეთები, რომელთაც აქედან ვუგზავნით სკამებს. თითოეული სკამი 6—7 მანეთი ღირს. აქ სხვადასხვა სახის სკამები კეთდება. კარადებს და სხვა შინაურ ავეჯსაც ვაკეთებთ, მაგრამ ჯერჯერობით ამ დანარჩენი ავეჯეულობის დამზადების საქმე მოისუსტებს, შესაფერი ტეხნიკური პირობების უქონლობის გამო; მალე გაუმჯობესდება ეს საქმეც და ჩვენი სოფლელები და აგრეთვე ქალაქის მცხოვრებნიც აღარ იყიდიან ძვირ, ამავე დროს უბრალო კარადებს — ყოველნაირ ავეჯს მათ ჩვენი ქარხანა მიაწოდებს.

ასეთი საუბრით ისინი უკვე ქარხნის ეზოში გამოვიდენ. საყვირმა დაიღრიალა და რამოდენიმე წუთის შემდეგ ეზო მუშებით გაივსო. საჩქაროდ მიატოვეს მათ თავისი მუშაობა. ზოგი იქვე სასადილოში შევიდა სადილი სათვის. ზოგი მუშების მატარებელს გაჰყვა. ზოგნი თავისი ბინებისაკენ გაეშურენ იქვე მდინარის მარცხენა მხარისაკენ, რომელიც მარჯვენა მხარეს მდ. ჩხერიმელაზე კოხტად გადაკიდებულ ხიდით უერთდება.

— ნამდვილი პატარა სამრეწველო ქალაქია.— გაიფიქრა პალიკომ და მხიარულად გაეშურა თავისი სოფლისაკენ.

მეორე დღეს მან თავისი მოხსენება მარელისის ქარხნის და მისი მუშების შესახებ კარგად ჩაატარა ჯგუფში, ყველა შეკითხვაზე ჯეროვანი პასუხი გასცა.

**დავით ციცქიშვილი.**

# პიონერები სოფლად.

ჰა, დილის სიომ გაშალა ფრთები,
მწვანე ბიბინით შრიალებს ყანა,
და მწვერვალები მაღალი მთების
ველზე ჩრდილებად გადმოიხარა.

თითქო ფოთლებმაც შემოკრეს ტაში,
მზე რომ გამოჩნდა კავკასის ქედზე,
და ფრინველებმა უღრუბლო ცაში
დაიწკრიალეს საამო ხმებზე.

დიდი, პატარა—ფუსფუსებს ყველა,
მინდვრებს ესევა გლეხების ჯარი.
მწვანე ყანებში თოხები ელავს,
და სიმღერათა გაისმა ზარი.

იქ პიონერნი ყიჟინით, ლხენით
ამოდგომიან მაშვრალებს მხარში.
მათ მოესურვათ ზაფხულის დღენი
დაჰყონ გლეხებთან მუშაობაში.

გადამღერიან უსივრცო ველებს,
გადითოხნება ყანების რიგი,
და როს დასავლით მზე გაიელვებს,
გადაეშვება გორების იქით,—

ველს დაადგება სიბნელე ქუფრი,
დაიღრიალებს მდინარე ხევად,
და ბილიკებით პიონერთ ჯგუფი
ნაცნობ სოფელში სიმღერით შევა.

**გ. სიოშვილი.**

# ჟუჟა

VI *).

ავადმყოფთა ოთახში შემოვიდა მოწყალების და მას თან შემოჰყვა მყუდროება. ძალუა კარპინიოკი წამოდგა ჟუჟას კრაოტიდან. ანუშკაც ადგა.

— რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, რომ არ მოგროვდეთ ამ ბავშის ირგვლივ და არ დაუწყოთ მას მასლაათი! იგი ჯერ კიდევ სუსტად არის. რა გინდათ იმისგან?

— ის ძლიერ მოწყენილია, ქალბატონო! ჩვენ იგი გვებრალება და ამიტომ ვცდილობთ გავართოთ როგორმე.

— ესენი მართალს ლაპარაკობენ!—გაისმა უცებ კაპიტან კრახულეცის ხმა.

— ბატონ კაპიტანს გაუმარჯოს,—მოკრძალებით და თავის დაკვრით უთხრეს ქალებმა.

— გაგიმარჯოთ! გაგიმარჯოთ! თქვენ როგორ გრძნობთ თავს? შენ როგორ გიკითხო, პატარავ? იწყებ გამოჯანსაღებას?

— გმადლობთ!

— ჟანდარმს კიდევ აჩნია ხელზე შენი კბილების კვალი. კარგი კბილები გქონია! აჰა, გასინჯე შენი კბილები!

და ამ სიტყვებთან ერთად კაპიტანმა დასდო მაგიდაზე ქაღალდში გახვეული რაღაც.

— რაც შეეხება ლაპარაკს, ამ ბავშს ნულარ აუკრძალავთ ამას.

იგი მართლაც მოწყენილი იქნება... ილაპარაკოს და ელაპარაკონ, რამდენიც სურს.

— როგორც გვიბრძანებთ, ბატონო კაპიტანო!— მოწიწებით უთხრა მას მოწყალების დამ.

— შენ კი რატომ არ გაშინჯავ, თუ რა არის ამ გამოხვეულში? ეჰ, ცნობისმოყვარე არა ყოფილხარ!

ჟუჟამ აიღო გამოხვეული, გახსნა იგი და მასში აღმოჩნდა შოკოლადის დიდი ნაჭერი.

— სჭამე! ეს ძლიერ გემრიელია. როცა გაათავებ, მე კიდევ მოგიტან. ჯერჯერობით კი მშვიდობით, ჩემო პატარავ!

კაპიტანი გავიდა დეზების ჩხარუნით.

— მშვიდობით,ბრძანდებოდეთ,მოწყალების დაო. აბა, თქვენ იცით, როგორ მიხედავთ მაგ ბავშს.

— მართლა შოკოლადია?

— დიახ, შოკოლადია.

— შენ გიყვარს შოკოლადი?

— ძლიერ!

ანას თვალები გაუბრწყინდა:

— მომიტეხე ცოტაოდენი.

— კაპიტან კრახულეცმა არა მარტო ცხვირ-პირის მტვრევა, არამედ შოკოლადის ჩუქებაც იცის!— სთქვა ძალუა კარპინეკმა.

— ამის ჭამა არ შეიძლება, ძალუავ?—იკითხა და ზიზღით თვალი აარიდა ჟუჟამ შოკოლადს.

— არ ვიცი... სჭამე... რატომაც არა?

— თქვენ როგორ ფიქრობთ, ძალუა კარპინეკ?

— უფრო უკეთესი იქნება, თუ განაგრძობ შენს საუბარს და გვეტყვი, თუ ვინ დადიოდა თქვენთან ბუდაპეშტში.

— ... ჯერ სამნი მოვიდენ, გაზეთებიც მოიტანეს. ამხანაგი გაშპარი კითხულობდა იმ გაზეთებს. მრავალი სხვადასხვა ცნობა იყო გაბნეული იმ ფურცლებზე: ეწერა, თუ რამდენი კაცი ჩაყარეს დუნაიში ოფიცრებმა, როგორ ებრძვიან რუსი ამხანაგები პოლონელებს...

— ეხ... ნეტავ გალიციამდე მოაღწევდენ!..

— კიდევ უფრო ახლოს მოვლენ. ასე ლაპარაკობდენ.

— ერთ საღამოს მეტისმეტად ამტკივდა მუცელი და ამის გამო მეც შინ ვიმყოფებოდი, როდესაც ჩემთან მოვიდენ ამხანაგები კრების მოსაწყობად; ისინი ათამდე იყვნენ: ზოგი იყო ცემენტის ქარხნიდან, ზოგი ჩეპელსკის კუნძულიდან, ზოგი ახალშენიდან და ზოგიც ბუდაპეშტიდან. ლაპარაკობდენ, რომ როდესაც რუსები გადმოვლენ კარპატებზე, მაშინ კარ-

*) დასასრული. იხ. „პიონერი", № 13.

პატის აქეთა მხარეშიც მოეწყობა სოციალისტური რესპუბლიკა.

— ეხ, მაშინ კი გვექნება საქმე!..

— ჩვენ მაშინ შევაჩერებთ რკინისგზით მოძრაობას და მოვახდენთ უდიდეს გაფიცვას.

— ეს რისთვისაა საჭირო? — იკითხა ერთმა.—განა უმჯობესი არ იქნება, თუ ჩვენ ყველანი იარაღს ავიღებთ ხელში?

— არა, არ იქნება უკეთესი,—ლაპარაკობდა ბუდაპეშტელი ამხანაგი.

— გაფიცვა არ არის საჭირო. საჭიროა რევოლუცია, — გაიძახოდენ ყველანი.

ბუდაპეშტელმა ამხანაგმა ასწია ხელი. ის ძლიერ დამშვიდებულად ლაპარაკობდა:

— გაფიცვა იმისთვისაა საჭირო, რომ თუკი საფრანგეთი, იტალია, ინგლისი ან სხვა რომელიმე კაპიტალისტური ქვეყანა მოისურვებს თავისი ჯარების გადასხმას ჩვენი ქვეყნის რკინის გზებით, მაშინ ჩვენ ამ გაფიცვით წავართმევთ იმათ ამის საშუალებას. გარდა ამისა, გაფიცვა ერთნაირი შტანგი იქნება მუშებისა და გლეხებისათვის, რომ იარაღს მოჰკიდონ ხელი. გაიგეთ?

როდესაც ყველანი წავიდენ, დედა ფრთხილად მოვიდა ჩემთან და მითხრა ჩუმად:

— აბა, ანა, წავიდეთ!

ანამ გაკვირვებით შეხედა მას და შეეკითხა:

— მე?..

როდესაც ანა გავიდა, ჟუჟამ ჰკითხა ძალუა კარპინ—იოკს:

ანა არ გაგვცემს?

— ნუ გეშინია, იგი კრინტსაც არ დასძრავს, ნაკუწ-ნაკუწად რომ აქციონ მაინც.

— რატომ გაიხმეს იგი?

— ალბათ ექიმთან.

— ვაი, თუ დასაკითხავად წაიყვანეს?

— აქ არავის არ დაკითხავენ. ალბათ, ექიმმა დაიბარა.

ანა მალე დაბრუნდა. თვალები დაწითლებული ჰქონდა. მან მიაშურა თავის საწოლს და ხმაამოუღებლივ ჩაწვა შიგ.

— რა მოგივიდა, ანა?

ანა ტიროდა.

შემდეგ მან გაიძრო ხალათი და გამოაჩინა თავისი ხელები. საბრალოს ორივე ხელი აჭრელებული ჰქონდა ცემისაგან ზოგან ლურჯი და ზოგან წითელი ფერებით.

— იგი მე მბწკენდა, მირტყამდა... მეკითხებოდა, თუ რის შესახებ ვლაპარაკობდით ჟუჟასთან. მე არაფერი არ ვუთხარი. ვუთხარი მხოლოდ, რომ ბეღურებზე ვლაპარაკობდით.

საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის პიონერების შეჯიბრება ჭადრაკში.

— ჟუჟა, შენ ჭკვიანი გოგონა ხარ და იმედი მაქვს, რომ რაც ნახე და რაც გაიგონე, ამის შესახებ კრინტს არ დასძრავ არსად...

ოთახში შემოვიდა ზედამხედველი და მიმართა ანუშკას:

ჟუჟამ შეხედა ანას აფერადებულ ხელებს. დიდხანს იყო გაჩუმებული. შემდეგ სთხოვა ძალუა კარპინეკს მოეტანა ჩასაფურთხებელი ჭურჭელი და რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც კარპინეკმა შეუსრულა მას თხოვნა, ჟუჟა გადაიხარა ჩასაფურთხებელისაკენ და ჩააგდო შიგ რაღაც.

— მადლობელი ვარ, ძალუა კარპინეკ! წაიღეთ ისევ უკან.

ქალებმა ჩაიხედეს შიგ და დაინახეს ვერცხლის ქაღალდში გახვეული შოკოლადი.

ჟუჟას ასეთ საქციელზე თითქმის ანასაც კი გაეცინა.

— ეს რომ დაინახოს კაპიტანმა, ან მოწყალების დამ, ხომ ერთი ალიაქოთი ატყდება?

ძალუა კარპინეკმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

## VII.

— სამი დღის შემდეგ, ღამით, მოვიდენ ძრავიანი ნავით, — განაგრძო თავისი მუსაიფი ჟუჟამ — ლაპარაკობდენ, რომ ჩერპალკაზე ყველაფერი კარგად არის, მაგრამ მაინც საჭიროა სიფრთხილე. დანარჩენებიც მალე მოვიდენ.

დედამ გადმომცა წერილი და გამაგზანა ამხანაგ გაშპარასთან, იგი ცხოვრობდა შურა კოვაჩთან.

შურას დედა რაღაცას ხრაკავდა სამზარეულოში და უნდოდა, რომ მე მომეცადნა და მეჭამა მოხრაკული.

მე ცოტა ხანს ვიცდიდი, მაგრამ შემდეგ შემეშინდა გამოკითხვა არ დაეწყო ჩემთვის და ამიტომ ჩუმად გამოვიპარე.

შინ მე მოვუსწარი ლაპარაკს იმის შესახებ, რომ არ შეიძლება ძრავიანი ნავით წასვლა. ძია ტოლიამ ჩააქნია ხელი და სთქვა:

— ამხანაგებო! ეს მოსაზრება არ არის საფუძვლიანი. აქ იმდენია ძრავიანი ნავი, რომ თქვენ არავინ არ მოგაქცევთ არავითარ ყურადღებას.

დედამ მიმიხმო თავისთან, ჩამაცვა ტანზე და მთხოვა გარეთ გავსულიყავ.

მე გავედი და პირდაპირ ფარდულში შევედი. აქედან ყველაფერი მესმოდა. უკუნეთი ღამე იყო. ცაზე არცერთი ვარსკვლავი არ მოჩანდა. მე ვკანკალებდი, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ თბილოდა. დავჯექი ფიცარზე და მოვირთხი ფეხები. ამ მდგომარეობაში მყოფი უცებ გამიტაცეს ფიქრებმა. ვფიქრობდი ბევრ რამეზე. გამახსენდა, თუ როგორ ვცხოვრობდი შვაბსკის მთაზე ძალუა ბუტკონისთან, გამახსენდა ვაცი... „როდესაც კიდევ იქნება კომუნა ბუდაპეშტში, მაშინ ნახავ მას“...

მე დავხუჭე თვალები და ჩამთვლიმა.

უცებ მესმის სიბნელეში დეზების ჩხარუნი.

„ჟანდარმები!“

მე შევშინდი და მოვრთე ყვირილი, რაც ძალი და ღონე მქონდა:

— დედა! დედა!

მე გარეთ გავიჭერი და შიგ შუა ეზოში გავჩნდი. ვიღაცამ მოირბინა ჩემთან და მაგრად ჩამწვდა ხელებით თმაში. მე წავიქეცი. კიდევ უფრო მეტად ვყვიროდი. ჟანდარმები ძახილით და ხმაურობით დარბოდენ ფარდულის გარშემო. ამასობაში სახლში მყოფნიც გამოცვივდენ გარეთ და გაეშურენ მდინარისაკენ. მათ უნდა ჩაერბინათ ციცაბო ნაპირი.

— ნეტავ რა მოუვა დედას? — გამიელვა უცებ თავში.

ნაპირიდან ისროდენ. შემდეგ მოისმა ნავის ძრავის ხმაც.

უცებ გაიღო კარები და იქიდან გამოვიდა ორი ადამიანი. შემდეგ კიდევ ერთი გამოვიდა იქიდან და უბრძანა მეორეს გაჩერებულიყო ეზოს გალავანთან.

— მე წავალ და ვნახავ, თუ ვინ არის კიდევ აქ. სთქვა მან და წავიდა მდინარის ნაპირისაკენ.

ორნი ძლიერ ახლოს მოვიდენ ჩემთან. მე სულგანაბული, მკვდარივით ვიწექი ეზოს გალავანთან. როდესაც ავსწიე თავი, დავინახე, რომ ჩემს წინ იდგა დედაჩემი. მის გვერდით კი ორი ფეხის ნაბიჯზე სვეტივით აღმართულიყო ჟანდარმი თოფით ხელში.

მე შევცქეროდი დედას და ვგრძნობდი, რომ წამართმევდენ იმას, რომ სამუდამოდ დავკარგავდი მას.

ამიტომ, როგორც გახელებული კატა, ვეცი ჟანდარმს, რომელსაც ზურგი ჰქონდა ჩემსკენ შემოქცეული და, რაც ძალი და ღონე მქონდა, დავიყვირე;

— დედილო! თავს უშველე!.. გაიქეცი!..

შემდეგ ჩავაფრინდი ხელში და დაუზოგავად ვკბენდი მას... ჟანდარმს თოფი გაუვარდა ხელიდან... კარგახნის ბრძოლის შემდეგ მან მომიშორა თავიდან და რაღაც მძიმე მაგრად დამარტყა თავზე. მოირბინა მეორემაც... ორჯერ გაისროლეს თოფი იმ მხარეს, საითკენაც გაიქცა დედაჩემი... შემდეგ ვიღაცა ქუსლებით შემდგა ზედ...

ასე მოვხვდი აქ...

ჟუჟას გაემრუდა მისი პატარა ტუჩები და ღვართქაფად წამოსცვივდა თვალთაგან ცრემლები. მაგრამ ეს საძრახისია, განა? ჟუჟა ხომ მხოლოდ თოთხმეტი წლის პროლეტარული გოგონა იყო!

**მ. ზასი.**

**1927 წლის 25 ოქტომბერს ატლანტის ოკეანეს ტალღებში დაიღუპა უზარმაზარი გემი „მაფალდა“, რომელიც მიემართებოდა ბრაზილიაში იტალიის ნავსადგურ გენუიდან. „მაფალდა“-ზე იმყოფებოდა 100-ზე მეტი ემიგრანტი, უმთავრესად სერბიელები, იტალიელები და ესპანიელები. იყვნენ აგრეთვე არაბები სირიიდან და აფრიკელი შავკანიანი ზანგებიც. მგზავრების სწორედ ეს ეროვნული სხვადასხვაობა გახდა „მაფალდის“ კატასტროფის და მასთან ერთად რამდენიმე ასეული ადამიანის დაღუპვის მიზეზი. მგზავრებს არ ესმოდათ ერთმანეთის ენა, არ ესმოდათ აგრეთვე გემის საკომანდო შემადგენლობის ენაც და, გარდა ამისა, ხშირად არც კი უჯერდენ მის განკარგულებებს. ისეთი უბედურება, როგორიც „მაფალდას“ დაატყდა თავს, იშვიათია გემთა მიმოსვლის თითქმის მთელ ისტორიაში. მხოლოდ ერთი კატასტროფა თუ სჭარბობს მას—სჭარბობს 1912 წელს ინგლისის გიგანტ (უდიდეს) გემ „ტიტანიკის“ თავზე დატრიალებული კატასტროფა.**

* * *

საღამოჟამია. გემი „მაფალდა“ უდარდელად მისერავს ტროპიკულ სიცხეში გაშეშებული ოკეანის ზედაპირს. მრავალრიცხოვანი მგზავრები (1296 კაცამდე) შეპყრობილი არიან იმ მოუთმენელი, აღმაფრთოვანებელი განწყობილებით, როგორიც ჩვეულებრივი მოვლენაა ხოლმე გემებზე შორეული გზის დასასრულს. ბრაზილიის ნაპირებამდე 300 მილი-ღა დარჩა.

„მაფალდას“ ქვედა აივანზე მე-3 კლასის მგზავრები იმის ცდაში არიან, რომ როგორმე მოკლან გახანგრძლივებული სადილის წინა დრო. სწორედ ამიტომაა, რომ ესპანიური და იტალიური ხალხური თამაშობები სცვლიან ერთიმეორეს. ცეკვავენ ახალგაზრდები, მაგრამ არც ხნიერი თაობა რჩება იმათ უკან. ერთი სიტყვით, ყველანი ცდილობენ გაირთონ თავი როგორმე.

მხოლოდ არაბები არ იღებენ მონაწილეობას ამ საერთო დროსტარებაში. ისინი წვანან ან სხედან კედლების გასწვრივ წამწკრივებულ, რკინის სალტეებში ჩასმულ და თუნუქით აფერადებულ მძიმე ზანდუკებზე და აბოლებენ თავის ყალიონებს; ძლიერ იშვიათად და ისიც ზანტად თუ გადაულაპარაკებენ ხოლმე ერთმანეთს თავის მშობლურ ენაზე.

პირველი კლასის დარბაზში გრიალებს სასულე ორკესტი, გამოსთქვამს თავის დარდებს, თავის ფულისწადებს სიმებიანი ორკესტრი და ღრმად ოხრავს ბარაბანი. მაგრამ აქ არ ცეკვავენ. აქ ტროპიკული სიცხისაგან შეწუხებული და მადადაკარგული მგზავრები მძინარე ბუზებივით დადიან აივანზე და მოუთმენლად ელოდებიან მზის ჩასვლას. მალე ვარსკვლავებით მოჭედილი ცა გაშლის თავის ზურმუხტოვან ზეწარს „მაფალდას“ ზემოთ და ყველას მიეცემა საშუალება ხარბად ისუნთქოს ღამის გრილი ჰაერი.

მაგრამ... უცებ „მაფალდას“ ლამაზი ტანი შეკრთა ისე, თითქოს მისი ცხვირი წყალქვეშა კლდეს დაეჯახაო. საიდან უნდა იყოს აქ, ამ თვალუწვდენელ, უნაპირო ოკეანის სივრცეში წყალქვეშა კლდე, როდესაც ოკეანის ამ ნაწილში არავის არ უნახავს და არც გაუგონია არავითარი კუნძულის არსებობის შესახებ!?

მგზავრებს, ზოგიერთის გამოკლებით, არც კი შეუმჩნევიათ გემის ტანის შეკრთომა, მაგრამ სადარაჯოებზე მყოფმა ოფიცრებმა გაკვირვებულად გადახედეს ერთიმეორეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯახება ისევ განმეორდა და გემი დაჭრილ იხვივით შეირხა ტალღებში, დაჯახების განმეორებასთანავე უფროსი ოფიცერი გვიდო მანაი მყისვე მოწყდა ადგილს და შურდულივით გაექანა ქვეშ, მანქანებისაკენ. მას უკან მისდევს ლეიტენანტი აუტერი.

ისინი არც კი მისულან სამანქანო განყოფილებამდე, რომ გემი კიდევ დაეჯახა რაღაცას. მანქანები სწყვიტენ მუშაობას და ერთი წუთის უკან სწრაფად მიმავალი „მაფალდა“, ინერციის ძალით რამოდენიმე ასეული მეტრის გავლის შემდეგ, უსიცოცხლოდ ჩერდება...

აღმოჩნდა, რომ მომძვრალა ერთი ხრახნილი („ვინტი“) იმ ორ ხრახნილთაგან, რომლებითაც მოძრაობაში მოდიოდა მთელი გემი, და გამომხტარა მისთვის სპეციალურად დანიშნული სპილენძის მილიდან ის ღერძი, რომელიც ეჭირა ამ მომძვრალ ხრახნილს. და აი, ამ მომძვრალი ხრახნილისა და ღერძის ადგილას გაჩნდა გვირაბის მაგვარი ხვრელი, საიდანაც შეუჩერებლივ მოდის წყლის ძლიერი ნაკადი და ავსებს გემის ქვემო ნაწილს.

გემის კაპიტანმა სალვატორ გულიმ, გამოცდილმა ბეზღვაურმა, რომელსაც ორასჯერ თითქმის ყოველი მიმართულებით გადაუცურავს ატლანტის ოკეანე, მყისვე შეაფასა მდგომარეობა. გაითვალისწინა რა ყველაფერი ის, რაც „მაფალდას“ და მის მგზავრებს მოელოდა, მან მისცა თავის ხელქვეითებს ფიცხელი განკარგულება:

— ყმაწვილებო, თუ არ შეაჩერეთ წყლის დენა, გემი ჩაიძირება. ამიტომ იხმარეთ მთელი თქვენი ძალ-ღონე!

სამანქანო განყოფილების გამგემ სკარაბიკმა არ დააყოვნა ჩასულიყო ძირს თავის ხელოსნებთან ერთად.

ამრიგად, იწყება თავგანწირული, გმირული ბრძოლა სტიქიასთან. ეშვება ძირს რკინის ფიცრები— წყალსაკეტები, რომლებმაც წყლისათვის გემის კედელი გაუვალი უნდა გახადონ. მაგრამ ეს ფიცრები ველარ უძლებენ წყლის წნევას. მემანქანეები ხედავენ, რომ წყლის სტიქია ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ განაგრძობს იერიშებს მასთან მებრძოლი ერთი მუჭა ხალხის წინააღმდეგ.

ახალი უბედურება!

უცებ მთელ გემზე ქრება სინათლე. დინამო-მანქანა და სააკუმულიატორო განყოფილება უკვე წყლის ქვეშ მოექცენ მთლიანად. ამიტომ მგზავრების სიცოცხლისათვის შეუპოვარ მებრძოლებს სიბნელეში უხდებათ მუშაობა. სიბნელე კი კიდევ უფრო აძლიერებს წყლის იერიშებს და მისგან გამომდინარე საშიშროებას. ამ საშიშროებასთან მებრძოლნი უკვე მუხლამდე წყალში არიან და არ იციან რა მოიმოქმედონ. მაგრამ დაბნეულობა მხოლოდ დროებითია, წუთიერია. სიბნელეში გაისმის განკარგულებები. ინთება ჯიბის ნათურები, რომელნიც ყვითლად აშუქებენ ირგვლივ. მეზღვაურები ლომებივით ესევიან ტუმბოებს და ერთხანს საშიშროება თითქოს აცილე-

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა



გემის მოსვლა „მაფალდას“ დასახმარებლად

ბულია თავიდანო. მაგრამ ფუჭი იმედებია: რამდენიმე წუთის შემდეგ წყლის დონე გემის ქვედა ნაწილში საგრძნობლად მატულობს.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მანაი — უფროსი ოფიცერი — მირბის კაპიტან გულისთან.

— კაპიტანო! ბრძოლა უშედეგოა. ჩვენ არ ძალგვიძს „მაფალდას“ გადარჩენა დაღუპვისაგან! — მოახსენებს იგი კაპიტანს.

სალვატორ გულის ხელი მძიმედ დაეშვება ოფიცრის მხარზე და მეზღვაურების თვალები ერთი წამით გადაინასკვებიან ერთიმეორეში. იმათ უსიტყვოდაც ესმით ახლა ერთიმეორის: მათ წილად ხვდა მეტად მძიმე ამოცანის შესრულება, ე. ი. გაეფრთხილებიათ საშიშროების შესახებ უდარდელი და უზრუნველად მყოფი მგზავრები და, რათაც გინდა დაჯდომოდათ, არ დაეშვათ მათში პანიკა.

კაპიტანმა ხელით ანიშნა თავის შიკრიკ ჯილიოს მოეტანა მისთვის მეგაფონი (თავისებური ხმამზარდი გემებზე შორ მანძილზე სალაპარაკოდ).

— მიეცით განგაშის შტანგი! — გაისმის განკარგულება.

და გემის სირენა იწყებს კივილს ხრინჭიანი, გულშემზარავი ხმით.

მგზავრებმა ამდენ ხანს არაფერი იცოდენ. მართალია, ზოგიერთებს გაუკვირდა უსინათლობა, მაგრამ ისეთი მშვენიერი საღამო იყო, რომ უკმაყოფილება არავის არ განუცხადებია. ახლა კი, სირენის კივილის გაგონების შემდეგ, ისინი ცხვრის შეშინებულ ფარასავით თავს იყრიან კიბესთან.

ამავე დროს გაისმის კაპიტნის მშრალი და ლაკონიური (მოკლე) განკარგულებანი:

— ნავები წყალში!

— ემზადეთ გადასასვლელად!

— ქალები და ბავშები — პირველ რიგში.

— არავითარ არეულობა-დაბნევას არ ექნეს ადგილი. ჩვენს განკარგულებაში კიდევ ბევრი დროა. გარდა ამისა, ჩვენ ახლავე ვაუწყებთ რადიოთი ყველგან ჩვენი უბედურების შესახებ!

ერთადერთი ადამიანი, რომელმაც არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რა უბედურება ეწვია გემს, ეს იყო რადიო-მუშაკი ბოლდრაკი. იგი იჯდა თავის საკანივით ვიწრო ოთახში რადიო-საყურეებით თავზე და გულდამშვიდებულად უსმენდა საიდუმლოებით მოცულ რადიოს ხმებს, რომლითაც ახლა დაკავშირებულია ერთი-მეორესთან ყველა გემი მსოფლიოში.

უცებ შიკრიკი რესკინი სდებს მის წინ კაპიტნისაგან მიღებულ ქაღალდის ნაგლეჯს, რომელზეც აღნიშნულია გემის გეოგრაფიული მდებარეობა. ქვეშ კი წარწერილია სამი საბედისწერო ასო: S.O.S (გვიშველეთ, ვიღუპებით! — საერთაშორისო შტანგი უბედურების დროს).

გაოცებული ბოლდრაკი არ უჯერის თავის თვალებს. მაგრამ შტანგს მაინც დაუყოვნებლივ გადასცემს რადიოთი. რამდენიმე წუთის შემდეგ იგი უკვე იღებს საპასუხო დეპეშას ინგლისის გემ „იმპერიის ვარსკვლავიდან“. დეპეშა ლაპარაკობს:

„გამხნევდით, მოვდივართ მოსაშველებლად!“

ბოლდრაკიმ ღიმილით ჩასწერა ეს სიტყვები კარტოფილის სანთლის სინათლეზე და გაუგზავნა კაპიტანს...

„მაფალდას“ შემადგენლობა თავდავიწყებით მუშაობს; ჭრიალობს რკინის ხრახნილები და ტვირთასაწევი კავები, ჰაერში ერთიმეორეს ეჯახებიან ნავები, რომლებსაც ძირს უშვებენ წყალში.

ტროპიკული ქვეყნებისათვის ჩვეული ბნელი ღამე სულ მალე მოახლოვდა და მის მელანივით შავ სიბნელეში გაურკვეველად მოჩანს გაუნათებელი, ჩაბნელებული გემის სილუეტი. ხოლო აქა-იქ ბრწყინავს სანთლების ანარეკლი.

მგზავრების ნაწილი, გაიგო თუ არა უბედურების შესახებ, გაეშურა ოთახებ-სკენ საჭირო ნივთების ჩასალაგებლად ჩემოდნებში, ზანდუკებში და კალათებში, მეორე ნაწილი კი უთავბოლოდ დაწრიალობს აივანზე. ხმაურობა, ყვირილი ყოველი მხრიდან გაისმის.

მესამე კლასის, ანუ გემის ქვედა ნაწილში მყოფი მგზავრები უფრო გვიან იგებენ კატასტროფის შესახებ. აუწერელი შიშის გამო ისინი განუწყვეტელ ნაკადად მიდიან ზევით. აქ კი ყურთასმენა მიაქვს შეშინებული ქალების წივილ-კივილს და დამფრთხალი ბავშების ტირილს. ამ საერთო ჯოჯოხეთური მდგომარეობიდან ყველანი სათითაოდ ეძებენ გამოსავალს... მამაკაცები მკლავებით და მუშტებით იკაფავენ გზას.

სხვადასხვა ეროვნების ხალხს აღარ ესმის განკარგულებები მისთვის უცხო ენაზე და ამიტომ იგი არ ჩერდება არავითარი მუქარის წინაშე. ამ ხალხს სათითაოდ სურს, რაც გინდა მოხდეს, პირველად გადარჩინოს თავი დაღუპვისაგან და გადაარჩინოს აგრეთვე თვისი ნივთები: ზანდუკები, გრძელ-გრძელ რგოლებად დახვეული აღმოსავლეთის ნოხები, ფარდაგები, კალათები და სხვ.

ყელამდე ავსებული ნავები ველარ უძლებენ რა სიმძიმეს, პირქვავდებიან წყალზე და ადამიანებიც და ნივთებიც ცვივდებიან ზღვაში. გაისმის სასოწარკვეთილი და გულშემზარავი ყვირილი დახმარების შესახებ. ზანდუკები უდარდელად დატივტივობენ წყლის ზედაპირზე, ხოლო მათ შორის ადამიანები უმწეოდ იბრძვიან სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.



პიონერები სწავლობენ სასროლი იარაღების მოწყობილობას.

მგზავრების ნაწილი ჯდება სხვა ნავებში, რომლებშიც უკვე მოთავსებულან ქალები და ბავშვები, და წარმოიდგინეთ, ხალხით გაჭედილ ნავებში გემიდან ისვრიან ზანდუკებს, ჩემოდნებს და კალათებს, რითაც თავს უმტვრევენ ამ ნივთების ქვეშ მოყოლილ ადამიანებს.

მაგრამ ვინ დაეძებდა ამას: ყველა მგზავრი მხოლოდ საკუთარი ტყავისა და თავისი ბარგის გადარჩენისათვის იღწვოდა... მიუხედავად იმისა, რომ ნავები ვერ დაიტევდენ 50—60 მეტ კაცს, მათში 100 კაცი ჯდებოდა და თავის ბარგსაც ზედ უმატებდენ. ამის გამო ნავები ისე პირქვავდებოდენ, თითქოს შეთქმულები არიან და შურს იძიებენ ადამიანებზეო.

მაგრამ ამ დროს, საბედნიეროდ, შორს ჰორიზონტზე გამოჩნდა ბოლი „მაფალდას“ მოსაშველებლად მომავალი გემების საკვამლე მილებიდან. პირველი მათგანი ინგლისის საბარგო გემია, „იმპერიის ვარსკვლავი“. იგი იჩენს წინდახედულებას და „მაფალდისაგან“ ორიოდე მილის მანძილზე ჩერდება. ეტყობა, ფიქრობს, რომ „მაფალდაზე“ გასკდება საორთქლე ქვაბები, რაც ხშირად ხდება ხოლმე გემებზე კატასტროფის დროს.

ჰოლანდიის გემი „ალხენა“ უფრო გამბედავი აღმოჩნდა და რამოდენიმე ასეული მეტრის მანძილზე უახლოვდება უბედურებაში მყოფთ. იგი სასწრაფოდ უშვებს ზღვაში თავის ოთხ ნავს; საჩქაროზე კეთდება ტივი, რომელზეც გამოდის „მაფალდას“ მგზავრებისათვის მისაშველებლად გემის მთელი შემადგენლობა, გარდა „ალხენის“ კაპიტნისა და ერთი მეზღვაურისა. „ალხენადან“ გადმოსულები უმთავრესად ჩინელებისგან შესდგებიან. ყველა ისინი სასწაულებრივ სიმამაცეს იჩენენ უბედურებაში ჩავარდნილთ გადარჩენის საქმეში.

მაგრამ ამოვარდა ძლიერი ქარიშხალი, რომელმაც ააბობოქრა ზღვის ტალღები და უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა ისედაც ზღვის ფსკერისაკენ მიმავალი „მაფალდა“. ამ დროს კი მისი მგზავრები გაიყენენ ორ არათანაბარ ჯგუფად: მაშინ, როდესაც მგზავრების უმრავლესობა თითქმის ხელჩართულ ბრძოლას აწარმოებს ნავებში ადგილებისათვის და პანიკისაგან სასოწარკვეთილ წივილ-კივილში არის, უმცირესობა ირჩევს ჯერ კიდევ დაიცადოს და უყუროს, თუ რა ხასიათს მიიღებს მდგომარეობა.

უმცირესობის ასეთი პოზიცია აიხსნება იმით, რომ „მაფალდას“ კაპიტანი ირწმუნებოდა: გემი კი-

დევ არ ჩაიძირება 15—20 საათის განმავლობაშიო. გარდა ამისა, ძალზე მეტად დატვირთული ნავები არ იყო მაინცდამაინც საიმედო თავშესაფარი. მოსაშველებლად მოსული გემები კი შორსაა და ცურვით მისვლა იმათთან ძლიერ საშიშია. და მით უფრო, აქ ზღვაში მრავლადაა აქულები (მეტად საშიში, მტაცებელი თევზის სახელწოდებაა).

ორნახევარ საათის შემდეგ ჰორიზონტზე გამოჩნდა საფრანგეთის გემი „ფორმოზა". იგი თურმე 30 მილის მანძილზე იმყოფებოდა კატასტროფის ადგილიდან, როდესაც მიიღო რადიო ნიშანი S. O. S. ის მაშინვე გამოეხმაურა ამ ნიშანს და გაუგზავნა „მაფალდას" შემდეგი პასუხი: „გამხნევდით, ახლავე თქვენთან ვიქნებით". მართლაც, „ფორმოზამ" 300 მეტი კაცი გადაარჩინა დაღრჩობას...

კაპიტანი სალვატერ გული კი წინანდებურად აუღელვებლად სდგას თავის სადარაჯოზე და იძლევა განკარგულებებს. იგი დარწმუნებულია, რომ შეიძლება ყველას გადარჩენა.

— ნუ შექმნით პანიკას, დასძლიეთ იგი, — ყვირის კაპიტანი ხმამაღლა!... დამშვიდდით!... დრო ყველასათვის გვეყოფა!..

განწირული გემის ირგვლივ ზღვა ნავებითა და სიკვდილთან მებრძოლი ადამიანებითაა დაფარული. სიბნელეში ყველაფერი აირია ერთმანეთში... ცდილობენ ჩვეულებრივი ნათურებით გაანათონ ზღვა, მაგრამ ვერ ხერხდება ეს. მოსაშველებლად მოსულ გემთაგან კი არც ერთს არ აღმოაჩნდა პროჟექტორი. ამიტომ ტივებს და ნავებს სიბნელეში უხდებათ მუშაობა.

მაგრამ მოვიდა საფრანგეთის დიდი გემი „მოზელი" და მან გაანათა თავისი ძლიერი პროჟექტორით ამ ტრაღედიის მთელი სურათი. ყველა ის დაზარალებულები, რომელნიც უკვე სამშვიდობოს იმყოფებიან სხვა გემებზე, ხდებიან ამ ჯოჯოხეთური სანახაობის მოწმენი: „მაფალდა" სდგას თითქოს ტალღების პერპენდიკულიარულად, მისი ცხვირი ჰაერშია აშვერილი, უკანა ნაწილი კი მთლიანად წყალშია ჩამალული. „მოზელი" სასწრაფოდ უშვებს წყალში თავის ნავებს და სულ მოკლე დროში 70-მდე კაცს გადაარჩენს დაღუპვას.

უკვე ოთხნახევარი საათია, რაც „მაფალდა" იბრძვის სიკვდილთან და ამ ბრძოლაში მას თანდათან ელევა ძალღონე. რადიო-მუშაკი ბოლოდროინდელ გაგზავნის გამოსამშვიდობებელ რადიოგრამას: „მაფალდა" უკვე იძირება. მასზე ბევრია ქალი და ბავშვი. დაგვეხმარეთ, რითაც შეგიძლიათ!" შემდეგ ის სტოვებს თავის რადიოტელეგრაფს და ჩვეულებრივი ელე-

პიონერები მუშაობენ.

ქტრო-ნათურით უნათებს გზას წყალში ჩაცვენილ მგზავრებს. ამ საპატიო სადარაჯოზე იღუპება ბოლდრაკი, როგორც შეუპოვარი რაინდი.

სამანქანო განყოფილების უფროსი სკარაბიკი თავქუდმოგლეჯილი დარბის გემის აივანზე და ვინ მოსთვლის, თუ ვის აშოშმინებს და ვის ეხმარება გემიდან გადასვლაში. გემი კი თანდათან მიდის ძირს, ფსკერისაკენ. ერთი მეზღვაურთაგანი, რომელიც უკვე მზადაა ზღვაში გადასახტომად, ეუბნება მას: „უკანასკნელი ნავი სცილდება „მაფალდას“, თავს უშველეთ!

სკარაბიკი პასუხობს:

— შენ უშველე თავს, მე კი კაპიტნის ბედს გავიზიარებ!

და უკან მიაძახებს მას:

— თუ გადარჩი, ჩამიკონე ჩემ მაგიერ ჩემი საყვარელი ბავში.

დადგა აღსასრულის წუთები... „ალხენა“ სულ ახლოს მივიდა „მაფალდასთან“ და განაგრძობს ხალხის გადარჩენას. ქალები თოკებით აყავთ გემზე, ბავშები კი— კალათებით.

„მაფალდას“ მემანქანე უჩქარის მანაის. ეს უკანასკნელი ეუბნება:

„დამიცადე ცოტა ხანს. მინდა შევხედო, თუ რა დონემდე ამოვიდა წყალი“ -და ჩადის გემის ქვედა ნაწილში. მაგრამ იქიდან აღარ ბრუნდება უკან.

ზღვაში გადამხტარი „მაფალდას“ მექანიკოსი დე-ბარბიერი სიბნელეში ხედავს, რომ მას უახლოვდება უშველებელი რაღაც.

„აქულაა!“—გაიფიქრა მან და ნერვების დაჭიმვისაგან მოქანცულმა დახუჭა თვალები და უბრძოლველად მიანება საშიშროებას თვისი სიცოცხლე. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს უშველებელი რამ „მაფალდა“-დან გადმოვარდნილი საქათმეა. დე-ბარბიერი შედის ამ საქათმეში და ცოტათი შეისვენებს. მას მალე იპოვის და თავის ნავზე გადაიყვანს „ალხენა“-ს მემანქანე, რომელმაც იმ ღამეს თექვსმეტი კაცი გადაარჩინა დაღუპვას.

მაგრამ სად არის, ნეტავ, კაპიტანი გული? აი, იგი ისევ ურყევად სდგას თავის სადარაჯოზე. მისი შიკრიკი ჯილიო ემუდარება იმას გადახტეს მასთან ერთად ზღვაში. ამაზე კაპიტანი შეხედავს ჯილიოს, მაგრამ არ აღირსებს პასუხს.

— მაშინ,—ეუბნება ჯილიო,—მეც აქ დავრჩები თქვენთან!

— გამეცალე აქედან, შენ ოჯახი გყავს,—უყვირის კაპიტანი,—და ამ სიტყვებთან ერთად ზღვაში გადაუძახებს მას.

ამრიგად, შიკრიკი ჯილიო გადარჩა დაღუპვას. მაგრამ შემდეგ იგი ისე ვერ მოიგონებდა კაპიტან გულის, რომ ცრემლები არ გადმოღვროდა თვალთაგან.

კაპიტანი გული უკანასკნელად კიდევ ახერხებს ააჟღეროს „მაფალდას“ სირენა. ეს უკანასკნელი სალიუტია დაღუპულებზე და ამავე დროს უკანასკნელი სალამია იმათადმი, ვისაც ბედმა არგუნა გადარჩენა.

„მაფალდა“ სულ უფრო სწრაფად მიდის ძირისაკენ. მისი ცხვირი პირდაპარ ზეცისკენაა აშვერილი. ერთი წამით გემი რჩება ასეთ მდგომარეობაში, მაგრამ შემდეგ ძლიერი დარტყმა, რამდენიმე გულშემზარავი ყვირილი— და გემის მთელი ტანი იმალება წყალში.

# პიონერებო!

## საბჭოთა კავშირის თავდაცვის კვირეული ახლოვდება.

## მხურვალე მონაწილეობა მიიღეთ ამ კვირეულის ჩატარებაში.

# პიონერი გოგია

(სურათები)

## ა

გოგია უკვე ერთი კვირის ამოსული იყო ქალაქიდან, სადაც ის სწავლობდა შრომის სკოლაში და პიონერთა კოლექტივში იყო; ის მამიდასთან ცხოვრობდა. რა დაითხოვეს საზაფხულოდ, იმანაც მშობლიურ სოფელს მოაშურა და თავის სოფლელ ტოლ-ამხანაგებს ასწავლიდა, თუ რამე იცოდა...

— ჩემო პატარა ამხანაგებო, რომ წახვალთ ბანაკად, ან სოფელში დასასვენებლად, არ იცუღლუტოთ იქ და ის დრო ნაყოფიერი მუშაობისთვის გამოიყენეთ...გამოადექით გლეხობას, ვის რითაც შეგიძლიათ. — უთხრა მასწავლებელმა ყველას დათხოვის დროს და დაარიგა მოწაფეები, თუ ამ ზაფხულს რა უნდა გაეკეთებიათ სოფლად...

— თქვენ პიონერები ხართ, მომავალი ცხოვრების ბურჯები და აქედანვე უნდა შეეჩვიოთ სწავლას, შრომას და ბრძოლას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ...—დაათავა დარიგება მასწავლებელმა.

ეს სიტყვები ახლაც უწიოდა ყურებში გოგიას; ის პირნათლად ასრულებდა დანაბარებს; ერთ წუთსაც არ ჩერდებოდა უსაქმოდ: ხშირად ნახავდით, რომ სასოფლო ყრილობებზეც იტყოდა ხოლმე სიტყვას...

ის ამ სოფლის ერთი ღარიბი გლეხის შვილი იყო; მისი უფროსი ძმა დაბაში იყო ახკომკავშირის მდივნად.

## ბ.

— შეერთდით რამდენიმე კომლი, გააერთიანეთ მიწა, იარაღი, მუშა საქონელი, ერთად დახანით, ერთად მომკეთ და გაიყავით ჭირნახული... კოლმეურნეობას უნდა მოკიდოთ ხელი, მამა, ისევ ძველებურად, მამაპაპურად ცალკე მუშაობით, ცხრაუღელა გულთნეულით შორს ვეღარ წახვალთ ახლა... ერთი კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, —ამბობს ანდაზა, შეერთებული ძალით კი გაიტანთ ლელოს...

— ჰო-და მართალს ამბობს შენი ბიჭი, მე და ჩემა გამჩენმა!..—ჩაერია მეზობელი ანდრო, რომელმაც გოგიას ლაპარაკს ყურ

— შეერთებული ძალით ტრაქტორსაც შეიძენთ და სხვა მანქანებსაც, მამა... ახლა ცხოვრება წინ მიდის, სახნის-კავი აღარ გამოდგება, ახლა გაუმჯობესებული იარაღით უნდა გადაბრუნდეს მიწა... მთავრობა, კოოპერატივი ხომ ყველაფერში ხელს გიწყობსთ, შეღავათიან ფასში გითმობსთ ყველაფერს; ამასთან სესხსაც გაძლევენ საკრედიტო ამხანაგობები, მეურნეობის ასაყვავებლად... აი, ახლახან რომ საგლეხო სესხის ობლიგაციები გამოუშვა მთავრობამ, ისიც ხომ გლეხური მეურნეობის გასაუმჯობესებლადაა. ვისაც არ შეუძენია, უნდა შეიძინოს...

-- ჰო, იმ დღეს გამოეგზავნა ვანოს, დედაშენსა აქვს შენახული...

— იმ ფულით მთავრობა ისევ თქვენთვის დაამზადებს მანქანა-იარაღებს; გასაღებული ბილეთების ათი პროცენტი თემშივე რჩება სკოლების ასაგებად, გზების გასაყვანად და სხვა; ამას გარდა, შენს თანხას ემატება ექვსი პროცენტი სარგებელი... სამი წლის ვადითაა და მერე თანხა ისევ უკანვე გიბრუნდებათ...

— მართალია, არაა ისეთი კომლი, რომ „შავი დღისთვის“ არა ჰქონდეს შემონახული ცოტაოდენი ფული... უსარგელოდ დებას სკივრში, ის არა სჯობს გაასარგებლოს?..—დაეთანხმა ანდრო, გოგიას ლაპარაკით გათამამებული...

— ამის გარდა, ამ სამ წელს ექვსჯერ გათამაშდება ლატარია, და შეიძლება შენმა ბილეთმა ერთი ასიოდე თუმანიც მოიგოს... მთავრობას სჭირდება ეს სესხი; თქვენ მოგმართავთ, და არა უცხო სახელმწიფოებს... ქალაქის მუშებმა გაამართლეს ინდუსტრიალიზაციის სესხის იმედები და ახლა ჯერი გლეხებზეა.

— ჰაი, დედასა! ჩვენს მთავრობას უჭირდეს და არ დავეხმარო?!--დაატანა ანდრომ.

## ვ.

ბევრი ილაპარაკა გოგიამ სასოფლო მეურნეობაზე და აუხსნა გლეხებს, თუ როგორ უნდა დაემუშავებიათ მამული...

— თესლი გარჩეული და ნაწამლი უნდა დათესოთ რომ მოსავალი კარგი მოვიდეს და არც სარეველა გა-



სანიტარი პიონერები.

ერიოს... არც ერთი მტკაველი მიწა არ უნდა მოვაცდინოთ... ამის დარიგებები არის წიგნებად გამოცემული, ამისათვის არიან მაზრებში აგრონომები დაგზავნილნი, რომლებსაც უნდა მიმართოთ რჩევისათვის. აგრეთვე უნდა დაეჩვიოთ კულტურული მცენარეულობის თესვა-მოყვანას, როგორიცაა: ბამბა, თამბაქო, ჩაი, ლიმონი, ნარინჯი, ფორთოხალი და სხვა..

— ისემც გაოხრდება ეს ჩემი ნაფუზარი, ისეა გამოფიტული, რომ პური და სიმინდიც ვერ მოსულა და ეგენი მოვა?—ხელის ჩაქნევით ჩაილაპარაკა სოსომ და ქალამნების შეხსნა იწყო.

— როცა გამოფიტულია, უნდა გაანოყიეროთ საქონლის პატივით...

— მერე და პატივს საქონელი არ უნდა? ვერა ხედავ, შვილო, რომ უღელი ხარი მყავდა და ისიც ცივმა ზამთარმა გამიწყვიტა უჭმელობით? ახლა ეს მასწავლის მე...—წარმოსთქვა სოსომ და ანდრიას გადახედა სიცილით.

— რას იზამ სოსო, ხომ ხედავ, მომავლები გვჯობნიან ჩვენა და მეტი იციან. ეგრე, შვილო გოგი, ეგრე... ჩვენ ვერ ვივარგეთ და იქნება შენ მაინც ასახელო სოფელი—უთხრა ანდრიამ.

— ქაა, სად ისწავლა, ნეტავი, ესე ლაპარაკი?—უკვირდა ანიკოს.

— სადა და აი პიონერთა კოლექტივში... გამგზავნე, რაა, დედა, მეცა!—აუტყდა გოგიას ტოლი ლევანა დედას...

— როგორც ხალხს, ისე საქონელსაც საკვების მომარაგება უნდა, კარგი კვებაა საჭირო, რომ უფფო ღონიერი იყოს, რძე, ყველი, ერბო და ხორცი კარგი მოგვცეს—განაგრძობდა გოგია და თან წამოღებული სამეურნეო წიგნიდან უკითხავდა ადგილებს—იმათთვისაც ისევეა ზრუნვა საჭირო, როგორც ჩვენთვის. ამიტომ საჭიროა უფრო ნოყიერი მცენარეულობის დათესვა, როგორიცაა: იონჯა, სამყურა, ესპარცეტი, კართოფილი, ჭარხალი, მიწავაშლა და სხვა. ესენი ძალიან რგებს საქონელს. რაც შეეხება მიწის გაპატივებას, თუ საქონლის სასუქი არ გყოფნით, ხელოვნურით უნდა მოაღონიეროთ მიწები—განაგრძობდა საუბარს ჩვენი პიონერი.

## 3.

ზაფხული ფრთებს შლიდა... ყველგან მუშაობა იყო გაჩაღებული და არც გოგია იყო გულხელდაკრეფილი.

მან შეკრიბა თავისი ტოლები და ღარიბ გლეხებს ეხმარებოდა, უფრო კი იმათ, ვისაც მუშა ხელი აკლდა—ქვრივ-ობლებს, წითელ ჯარში გაწვეულთა ოჯახებს.

— წადით აქედან, თქვე ღლაჭებო, რა თქვენი საქმეა თოხის ქნევა. თქვენ კოჭები უნდა ითამაშოთ და ჩილიკა ჯოხი!..—დაუტატანა ერთხელ მოხუცმა ესტატემ, როდესაც გოგიას მეთაურობით მიადგენ ბავშები მის მიწას და უთხრეს:

— პაპა, შენ აქეთ წამო, დაისვენე და ჩვენ გავთოხნით.

მოხუცი პაპა სიცილს ვერ იჭერდა იმათ მუშაობაზე, მაგრამ ნამუშავარს რომ შეხედა, გაკვირვებით წამოიძახა:

— აი დიდება შენდა, ამათ არ უყურებთ?!

— მაშ რა გეგონა, პაპა, პიონერმა ყველაფერი უნდა იცოდეს!—უთხრა გოგიამ.

გოგიამ ისე შეაკავშირა სოფლელი ტოლ-ამხანაგები და შეაგნებინა, რომ თითქმის სულ ამას დასდევდენ და არ შორდებოდენ, რასაც ეტყოდა, ასრულებდენ. ყველას შეუყვარდა, ყველა უგონებდა. მან წრეც დააარსა ბავშებისა, კრებებს მართავდა ხოლმე, უხსნიდა პიონერთა მოძრაობის ამბავს, კითხულობდენ წიგნებს, გაზეთებს, ამბობდენ ლექსებს, მერე ხომ საბავშო საღამოს გამართვას შეუდგენ...

სოფელი ხარობდა ამ ამბით, მხოლოდ ზოგიერთი ყოფილი ხალხი ან შეუგნებელი და უფრო კი კაკოლა ვერ შერიგებოდა ამ ამბავს და იტყოდა ხოლმე კბილებით კრაჭუნით:

— ეჰ, დრო მაგათია და... თორემ შუაზე არ გავხლიჩავდი მაგ ლაწირაკს?!

— ახლა საით?—შეეკითხა შალიკო გოგიას, რა მეზობელ თედოს ყანას მორჩენ, რომლის შვილიც ტერიტორიალურ შეკრებაზე იყო გაწვეული და მარტოხელი ვერ ასდიოდა საქმეს.

— ახლა მაგდანას ნაფუზარს შევესიოთ!—უთხრა გოგიამ ამხანაგებს და ყიჟინით გასწიეს ღელეს გაღმა...

— ნუ გეშინია, ძია თედო, ჩვენ კიდევ მოვალთ, კიდევ გიშველით და კაკოლას სასაყვედუროს კი არ გაგხდით!..—გადმოსძახა გოგიამ გაღმიდან...

გახარებული თედო მადლობას უხდიდა.

**დ.**

მაგდანამ გაიდო თოხი მხარზე და გასწია თავისი მიწისაკენ, მაგრამ კორდს რომ გადაადგა, გაკვირვებული შესდგა და თვალებზე ხელის წამოჩრდილებით დაუწყო ყურება დაბლა...

— რა ვქნა, ვინ არიან ჩემ სიმინდში? ვინ გაბედა შესვლა?!—გაისმა მისი მრისხანე ხმა.

ბავშები კი, გოგიას მეთაურობით, უკვე ათავებდენ თითქმის გუშინდელი დარჩენილი კვლების გატანას; ისინი დილაადრიანვე წამოსულიყვნენ; მათი ყიჟინა ახმაურებდა არეს; სიცილ-კისკისით იქნევდენ თოხს...

მუქარით თოხმოღერებული მაგდანა რომ დაეშვა დაბლა, შესდგა, თოხი ძირს დაუშვა; მის დანაოჭებულ სახეს ღიმილი ათამაშა და ცრემლი მოადგა თვალებზე სიხარულით, რადგანაც შეხედა, რომ ბავშები კი არ აფუჭებდენ მის ნაშრომს, როგორც მას ეგონა, არამედ აკეთებდენ და შესძახა:

— ოი, თქვენ კი გენაცვალეთ, შვილებო, თქვენ დაეზარდენით მშობლებს ჩემი გახარებისთვის!.. ნეტა მეც პიონერი ვიყო!

— დიდედო, პიონერად რომ არ გამოდგები შენა? ჯერ პატარა ხარ, ოქტომბრელი,—ხუმრობით მიუგო გოგიამ.

ბავშებს სიცილი წასკდათ, თოხები უფრო მარდად მოიქნიეს.

— ქაა, დამცინი, შვილო, შე ცელქო?!

**ს. ერთაწმინდელი.**

# თითოეული ბავში

## ხელს უნდა უწყობდეს საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გავხდეთ ჯანსაღი და ძლიერი.

### 1. რისთვის უნდა ვიბანოთ.

სუფთა კანი თხელია და მბრწყინავი. გაიხოცეთ სახე თხელი ქაღალდით და თქვენ დაინახავთ, რომ ქაღალდი გაიქონება. ეს ხდება იმის გამო, რომ კანი უშვებს ეგრეთწოდებულ კანის ქონს. იგი ხელს უწყობს სილამაზეს.

ვინც ხელს იშვიათად იბანს, მას კანი უჩირქიანდება იმისაგან, რომ ქონი და ოფლი, რომელიც გროვდება კანზე, შრება და მის გაღიზიანებას იწვევს. მოუბანელი ოფლი და ქონი ხელს უწყობს სხეულის კ ნზე მტვერის და ათასგვარი ბაქტერიის დაგროვებას, უკანასკნელნი კი იწვევენ ავადმყოფობას; ამიტომაა საჭირო კანის სისუფთავის დაცვა. ტყვილად კი არ ვგრძნობთ ჩვენ თავს საღად დაბანვის შემდეგ. საცვლებზედაც გროვდება ქონი და ოფლი და ჭუჭყიანდება მტვერით, ამიტომაა საჭირო საცვლების ხშირი ცვლა, ტანსაცმელის კი რეცხვა. სისუფთავის მიჩვევა საჭიროა ბავშობიდანვე. სისუფთავის გარეშე არ არსებობს სიჯანსაღე და სილამაზე, მათი შეთავსება შეუძლებელია სიბინძურესთან და ჭუჭყთან.

### 2. როგორ უნდა მოვეპაროთ თმას და ფრჩხილებს.

თავის კანი განსაკუთრებით ბევრს ქონს გამოჰყოფს. ამის გამო პატარა ბავშებს, რომელთაც იშვიათად ბანენ თავს, თმაში უჩნდებათ ქერტლი, უფრო მოზრდილებს კი თმები ეფისებათ ისე, რომ მათი დავარცხნა ძნელი ხდება.

ცივი წყლით თავის დაბანა შეუძლებელია: მხოლოდ თბილი წყალი და საპონი აცლის თავს ჭუჭყს და მტვერს. თუ თმა ძალზე ქონიანია, საჭიროა კვირაში ერთხელ თავის ბანა, თუ მშრალი თმაა— უფრო გვიან, ორ კვირაში ერთხელ. თავის კანი განსაკუთრებულ მოვლას თხოულობს: მასზე თმის ძირებსაც სისუფთავე ესაჭიროება; ჭუჭყში ცხოვრობენ განსაკუთრებული სოკოები, რომელთაც შეუძლიათ ავადმყოფობის გამოწვევა. ერთ-ერთი ავადმყოფობაა მუნი.

მისი სოკოსგან ხშირად ბავშები ავადმყოფდებიან; ის გადადის მათზე ძაღლიდან და კატიდან. ეს სოკო ანადგურებს თმის ძირებს, მისგან შეიძლება ადამიანი ბელატი გახდეს. არის ისეთი სოკოც, რომელიც თვით თმას ანადგურებს. თმა ტყდება შუაში და ისე ცვივა. ამასთანავე იგი გადამდები ავადმყოფობაა, მის გამო ხშირად მეცადინეობაც კი წყდება სკოლებში; ამ ავადმყოფობის მიზეზიც სიბინძურეა. თვით დაბანის დროს საჭიროა სიფრთხილე. საქმე ისაა, რომ როცა თავს იბან, აცლი იმ მკვდარ ქსოვილებს, რომლის ქვეშ ნორჩი ქსოვილებია, მაგრამ თუ თავის ბანის დროს ფრჩხილებით ან მეტად ცხელი წყლით დააზიანებთ კანს, ეს ცუდ შედეგს გამოიღებს. არის თავის ერთი ავადმყოფობა, რომლის დროს თავში გროვდება უამრავი ქერტლი და ფქვილივით ცვივა ტანსაცმელზე და თმაზე; მისი მორჩენა შეიძლება გოგირდოვანი კუპრის მალამოთი ხშირი ბანვით, რასაკვირველია, ექიმის დარიგებისდა მიხედვით. რაც შეეხება ფრჩხილებს, საჭიროა მათი სუფთად შენახვა. ყოველი შავი სამუშაოს შემდეგ ფრჩხილების მოქნა ფრთხილად უნდა, ფრჩხილი უნდა შემოიჭრას თითის წვერის პირდაპირ, ისე რომ ხორცი არ დაზიანდეს.

რომ სისუფთავეს და სიჯანსაღეს ექნეს ადგილი ბავშებს შორის სკოლაში, საჭიროა დააარსოთ ჯანმრთელობის დაცვის უჯრედი, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს სკოლაში სისუფთავეს, აღძრათ ამ უჯრედში საკითხი, რომ ექიმმა გასინჯოს ყველა ბავშის თავები, ტანის კანი, ფრჩხილები, თმები...

### 3. როგორ წყალში უნდა ვიბანოთ.

— მე ტანს ცივი წყლით ვიბან!

— მე კი თბილით: მეშინია, რომ არ გავცივდე.

— სწორედ ამიტომ ცივდები კიდეც!

— როგორ?

— სულ უბრალოდ: თბილი წყლის შემდეგ ტანი ადვილად ცივდება, მაგრამ თუ ცივი წყლით დაიბან და ტანს მაგრად გაიმშრალებ პირსახოცით, საკმაო სითბოს იგრძნობ, რადგან ამის საშუალებით სისხლს მოიყვან ჩქარ მოძრაობაში. ვინც თბილი წყლით იბანს ტანს, ის ცივ ჰაერზე ყოველთვის ადვილად ცივდება. ცივ წყალში პირველად ცოტა შეგცივდება. მაგრამ შემდეგ გათბები, თბილი წყლის შემდეგ კი ადვილად შეიძლება გაცივდე.

— სამაგიეროდ შენ ჭუჭყს ვერ იშორებ.

— არა, კვირაში ერთხელ მეც ვიბან ტანს თბილი წყლით და საპნით, მაგრამ ცივი წყლით კი ყოველდღე, წელამდე.

ასე დაობდა ორი ამხანაგი.

### 4. ზღვაზე და ღელეზე ბანაობის შესახებ.

— აი, გავცივდი ხომ, თითქმის ვძიგძიგობ კიდეც!

— როგორ გაცივდი ასე?

— ღელეში ვბანაობდი.

— აი, შეხე ამას!. განა არ გახსოვს, სკოლის მასწავლებელმა რა აგვიხსნა წყალში ბანაობის შესახებ?

შეგინიშნავს თუ არა, პირველად რომ სიცივეს იგრძნობ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ სითბოს. წყლიდან სწორედ მაშინ უნდა ამოსვლა, თორემ ისე წყალში ბანაობა უნაყოფოა. ბანაობის წინ კარგია მზეზე გაწოლა, მაგრამ ბანაობის შემდეგ კი ჩქარა უნდა ტანთ ჩაცმა. მავნებელია წყლიდან ამოსვლა მზეზე და შემდეგ ისევ ბანაობა.

— მაშ ყველაფერი მავნებელი ყოფილა, შენი მოსაზრებით, მაგრამ უნდა ახსნა, რატომ?

— ძალიან კარგი. შეეეცდები, აგიხსნა ესეც; ყოველი მუშაობის შემდეგ ადამიანის ორგანიზმი დასვენებას თხოულობს. ცივი წყლისაგან ადამიანის სისხლის სადენი მილები ვიწროვდება ერთი წუთით, სისხლის მიმოქცევა ორგანიზმის სიღრმეში ხდება, მაგრამ მილები ისევ ფართოვდება და სისხლი ისევ კანისაკენ უკუიქცევა; აი სწორედ ამ დროსაა, რომ სითბოს გრძნობ, მაგრამ თუ წყალში დიდხანს გაჩერდები, სისხლის სადენი მილები ისევ შეიკუმშება და შენ სიცივეს იგრძნობ. ისინი დაიღლებიან და შენ ძიგძიგს დაგაწყებინებს. სხეულის ასეთი გაცივება ათასგვარ ავადმყოფობასაც იწვევს; ცნობილია, რომ ბევრს ზღვაზე ბანაობა არც კი უხდება, მაგრამ ამის შესახებ ექიმს უნდა მიმართო.

### 5. როგორ უნდა იცვამდე?

ჩვენში უმეტესობა ოთახში იცვამს მსუბუქად, ქუჩაში კი თბილად. დასავლეთ ევროპაში კი წინააღმდეგ: იმ ტანსაცმელს შორის, რომელსაც შინ და გარეთ იცვამენ, არავითარი დიდი განსხვავება არ არის. თუ ჩვენში იცვამენ ქალალდის მატერიის საცვალს, იქ ტრიკოტაჟულს. მისი ღირსება ისაა, რომ ის ჯფრო მეტი გამტარებელია ჰაერის. როცა სხეული ოფლიანდება, ის იშრობს მას, თვითონ ადვილად შრება; საკმარისია გაოფლიანდეთ ქალალდის პერანგში, რომ ის დიდხანს დარჩეს სველი და ადვილად გაგაციოსთ.

საჭიროა ბავშობიდანვე არ მიაჩვიოთ სხეული ზედმეტს სითბოს, ფეხები უნდა გქონდეს კარგად დაცული: ვისაც ფეხები უოფლიანდება, მათ ზამთარში წინდები უნდა ატარონ.

ვიწრო ტანსაცმელის ტარება მავნებელია, ბევრი ფიქრობს, რომ რაც უფრო ვიწრო იქნება ტანსაცმელი, მით უფრო ბევრ სითბოს დაიჭერს.

მაგრამ ეს პირიქით ხდება: სრული ტანსაცმელი მეტ სითბოს იჭერს და თან ხელს არ უშლის ადამიანს მოძრაობაში.

### 6. გაცივების შესახებ.

— ასუფთავებთ თუ არა თქვენ ოთახში ჰაერს?— კითხულობს სკოლის ექიმი.

— როგორ შეიძლება ეს, ახლა ხომ ზამთარია, გააღებ ფანჯარას და გაცივდები!

— არა, უპასუხებს ექიმი,— ადამიანები ავად ხდებიან არა გაცივებისაგან, არამედ ბაქტერიებისაგან, რომლებიც სხვადასხვაგვარად მოქმედებენ. ვინც ჯანსაღია, ის ავად არ გახდება, ვისაც ბავშობიდანვე არ შეუჩვევია თავი სუფთა ჰაერისათვის და ცივი წყლისათვის, ის ადვილად ცივდება, მისი სისხლი ნელა მოძრაობს; ასეთ სუსტ ადამიანს ადვილად ერევა ბაქტერიები. ვინც ყველაზე მეტად ეხვევა სათბურში, ის ყველაზე ხშირად ცივდება, გაცივებისგან უმეტესად ავად ხდებიან ისეთები, ვისაც ბავშობიდანვე არ აღუზრდია თავი ჯანსაღ ადამიანად.

### 7. ვარჯიშობა და სპორტი—ჯანმრთელობისათვის საჭირო საქმეა.

ცნობილია, რომ ქალაქის ბავშები შედარებით უფრო სუსტნი არიან, ვიდრე სოფლის. სოფლელი ბავში პატარაობიდანვე ეხმარება თავის მშობლებს შრომაში არა თუ მარტო სახლში, არამედ ტყეში, ველზე. ამ მუშაობის დროს ისინი იმაგრებენ თავის კუნთებს და მთელ სხეულს, მაგრამ ქალაქში კი ასე არ ხდება.

შეეჯიბრენ სირბილში ერთმანეთს ვანო და სერგო; ვანო ორი წელია ფიზკულტურაშია, სერგო კი მუდამ წიგნებს უზის. სირბილში ადვილად გაასწრო ვანომ; სერგო მალე დაიღალა, აქლოშინდა და თითქმის გაჩერდა; ვანომ ძლიერ შორს გაასწრო, მაგრამ დაღალვა კი არ უგრძვნია; ეს იმიტომ, რომ უფრო ცოტა ძალა დახარჯა სირბილში, ვიდრე სერგომ: ის მიჩვეულია ამას.

ფიზკულტურა ავარჯიშებს და წრთვნის ყველა კუნთს. ერთფეროვანი შრომა მომაბეზრებელია და მოსაწყენი. სპორტს მოჰყავს მოძრაობაში ჩვენი სხეულის ყველა კუნთი, სისხლის მოძრაობა სწორედ მიმდინარეობს, ადამიანიც ჯანმრთელად გრძნობს თავს.

## როგორ ცხოვრობენ ბავშვები იტალიაში

მტრედისფერი ცა იტალიის, აქაფებული ტალღები ადრიატიკის, პალმები და სხვა მცენარეები, მთების ლამაზი მოყვანილობანი და ვულკანების ცხელი ნიაღვარი,—აი როგორ აგვიწერდენ ამ „დალოცვილ“ ქვეყანას, უჩვეულო ქვეყანას, ლამაზს, როგორც „ზღაპრებში“ გაგვიგონია.

ყველა ქვეყნის და ხალხების მხატვრები მიდიოდენ იქ, რომ მოენახათ მოტივები თავისი აღმაფრენისათვის. მოგზაურები თავს იყრიდენ ქვეყნიერების ყველა კუთხიდან, რომ უშუალოდ განეცადათ ის სიმშვენიერე, რომლის შესახებაც ყველა ენაზე ლაპარაკობენ პოეტები.

იტალია იყო და დარჩა აქამდე მთელი ქვეყნის ობივატელებისათვის „დალოცვილ“ ქვეყნად, სადაც თითქოს გამეფებულია საერთო კეთილდღეობა და კმაყოფილება.

მაგრამ... სულ სხვა სურათებს გვიხატავს ამ „კეთილშობილი“ ქვეყნის შესახებ ერთი გერმანელი მუშა, რომელმაც თავისი შვებულება ეხლახან გაატარა იტალიაში. მან შემოიარა იტალიის მთელი სამხრეთი ნაწილი და მრავალი ფოტოგრაფიული სურათი გადაიღო. ეს სურათები გვიხატავს იტალიის პროლეტარიატის ბავშვების შრომას და ყოფა-ცხოვრებას.

ბავშვებს გადააქვთ მრავალფუთიანი სიმძიმეები... ხშირად გინახავთ თქვენ ასეთი სურათები? გერმანელი მუშა, რომელმაც ყველაფერი ამის შესახებ გვიამბო, ძლიერ გაკვირვებულია: მას ეს არ შეხვედრია, „თავის“ კაპიტალისტურ სამშობლოშიაც კი.

ან და კიდევ, აი, თორმეტი წლის ბავშვები კატანიაში. ისინი თავის საარსებო საშუალებებს პოულობენ ქვის მთლელთა მძიმე შრომით. ამ საკატორღო მუშაობისათვის, რომელიც კანონით განუსაზღვრელია, ბავშვები 45—70 კაპეიკს იღებენ დღეში.

კიდევ უფრო ნაკლებს იღებენ თავისი შრომისათვის ქუჩების დამწმენდნი. სიცილიის ქალაქებში: ნეაპოლში, კატანიაში, მესინაში, პალერმოში და სხვაგან—ქუჩებს ხვეტენ ბავშვები, რომლებიც ამისთვის სულ უმნიშვნელო გროშებს ღებულობენ.

პალერმოში და აგრეთვე ზღვის ნაპირას მდებარე სიცილიის სხვა ქალაქებში თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ ნავსადგურებში 10-12 წლის ბავშვები, რომლებსაც თავისი პატარა ძალით გადააქვთ მძიმე ტვირთი გემებიდან და იზნიქებიან ტვირთის სიმძიმის ქვეშ.

აქვე შეგიძლიათ დაინახოთ ბავშვები, რომლებსაც მიჰყავთ დიდი ეტლები ტვირთით.

თავისთავად ცხადია, ასეთ პირობებში ცხოვრობენ მხოლოდ იტალიის პროლეტარების ბავშვები. ფაშისტების ბავშვები, წევრები ნორჩ ფაშისტთა ორგანიზაციისა, იმავე კატანიაში მშვენიერ პირობებში ცხოვრობენ: ისინი არიან ქალაქის „ბატონ-პატრონები“, მათ ყველამ ქუჩაში გავლის დროს გზა უნდა მისცეს“.

ეს მოთხრობა გერმანელი მუშისა მეტად დამახასიათებელია. ის ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორია ცხოვრება იტალიაში...

## რას გვწერენ გერმანეთის პიონერები

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ მოგწერთ, თუ რა მუშაობა ჩავატარეთ 1 მაისს. იმისათვის, რომ ყველა ბავშისათვის გვეამბნა პირველი მაისის შესახებ, პირველი მაისის წინადღეს სკოლებში დავარიგეთ ფურცლები და სპეციალური უჯრედის გაზეთი „მებრძოლი ბარაბანი“; გარდა ამისა, ჩავატარეთ ჯგუფების ღია კრება, პირველ მაისს დავესწარით საუბარს „საკვირველი“ ფარნით, თემაზე: „წითელი არმიის ათი წელი“.

აღფრთოვანებით ვუყურებდით წითელი არმიის ბელადს ამხ. ვოროშილოვს, ბერლინის პიონერ-ორგანიზაციის საპატიო პიონერს. საუბარს დაესწრო დაახლოვებით 20-25 შეუკავშირებელი ბავში, ჯგუფის ორ ღია კრებაზე, რომელიც მიძღვნილი იყო პირველი მაისისადმი, მონაწილეობას იღებდა 5 ჩვენი თანამგრძნობი ბავში.

პირველ მაისს, ყველა მუშისა და გლეხის ბრძოლის დღეს, პიონერები კარლ-ავგუსტის მოედანზე შეიკრიბენ. იქ მოვიდენ არა მარტო ჩვენი ოლქის პიონერები, არამედ მახლობელი ორი ოლქისაც. იქიდან ჩვენ გავემგზავრეთ საგიტაციოდ. ჩვენს ავტო-

მობილზე ეწერა ლოზუნგები: „ძირს ყოველგვარი ფიზიკური დასჯა“; „პირველ მაისს არ მეცადინეობენ სკოლები“; „ძირს ბავშთა შრომა“. ჩვენი ორკესტრი ყოველთვის უკრავდა. როცა ჩვენ ჩავიქროლებდით რომელიმე სკოლის წინ, რაც შეიძლებოდა, ვყვიროდით: „პირველ მაისს სკოლებში სწავლა შეწყვეტილია“. სკოლის ფანჯრებიდან იცქირებოდენ ბავშები და ჩვენს ლოზუნგებზე გვიპასუხებდენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ სასტიკად აკრძალული ჰქონდათ ეს.

როცა მოვიარეთ ჩვენი რაიონი, გავსწიეთ იმ ადგილას, სადაც უნდა შეკრებილიყვენ ბერლინის მუშები. გზაში ჩვენ ვჩერდებით სკოლებთან; რამდენიმე პიონერი ავტომობილიდანაც გადმოვიდა და სკოლისაკენ გაემართა, სადაც ამ დროს დასვენება იყო. პიონერებმა წინადადება მისცეს ბავშებს გამოჰყოლოდენ მათ, მაგრამ მოუსწრო მასწავლებელმა და დაემუქრა, რომ პოლიციას გამოიძახებდა.

ბერლინის პიონერებმა ბავშთა საერთაშორისო კვირეულის დროს მოაწყვეს პროლეტარულ ბავშთა დღესასწაული ბერლინის მახლობლად, კენიგსხეიდში. ამ დღესასწაულში მიიღო მონაწილეობა 600—700 მუშის ბავშმა, ახალგაზრდობამ და მოზრდილებმაც. ბავშთა დღესასწაულის დღეზე გამოვიდა ცოცხალი გაზეთი „წითელი მედოლე“, რაც დიდი ინტერესით ჩატარდა, შემდეგ ჩვენ გავსწიეთ მუშათა რაიონისაკენ — ნეიკელნისკენ — ლოზუნგებით: „ამოირჩიეთ კომუნისტები, ხმა მიეცით № 5“. ბოდინის მოედანზე დემონსტრაცია შეჩერდა, სადაც სიტყვა წარმოსთქვა პიონერმა, რომელმაც მიმართა მუშებს, რომ მათ ხმა მიეცათ წითლებისათვის და გაეგზავნათ თავისი ბავშები ნორჩ სპარტაკელთა კავშირში.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ერთი პიონერი, ნორჩ სპარტაკელთა კავშირის წარმომადგენელი საფრანგეთიდან. მან მოგვითხრო, თუ როგორ ცუდად ცხოვრობენ მუშის შვილები საფრანგეთში და როგორ სჩაგრავენ მათ უფრო მეტად, ვიდრე გერმანიაში.

ბანაკის სურათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოახლოვებულია „თავდაცვის კვირეული“, ვისწავლოთ სროლა!

### როგორ უნდა ვისროლოთ.

მსროლელთა წრეებისა და პიონერ-კოლექტივებისათვის ყველაზე გამოსადეგი იარაღია პატარაკალიბრიანი ვინტოვკა „გეკო“ (გერმანული ფირმის), „ტოზი“ („გეკოს“ სისტემა ტულის იარაღის ქარხნის წარმოებაა) და სმირნსკის სისტემის ვინტოვკები. ამ ვინტოვკების კალიბრია 22. „გეკო“ იწონის დაახლოვებით 3 კილოგრამს. მისი ძირითადი ნაწილებია: მოძრავი საკეტი, ძირში დახრილი ხელით (საკეტი ამოიღება მაშინ, როდესაც ფეხი დასაცემინებლადაა გამოწეული). ლულა, თათი, სამიზნედ ჩაჭრილი ადგილი და თვით სამიზნე. მიზანში ამოღება ხდება ვინტის ბრუნვის საშუალებით, თუ მარჯვნით დავაბრუნებთ—სანიშნებელი აიწევს, თუ მარცხნივ—დაიწევს.

ვინტის სრულ შემოტრიალებას საშუალო წერტილი დაახლოვებით სამი სანტიმეტრით გადააქვს (50 მ. დისტანციაზე).

„გეკო“ და „ტოზის“ სისტემის ვინტოვკა დაახლოვებით 3,6 კილოგრამს იწონის. ყველა მისი ნაწილი ჩამოგავს სამხაზიანი ვინტოვკისას. აღსანიშნავია, რომ „გეკო“ და „ტოზი“ მიზანში სროლისათვის უფრო გამოსადეგია, ვიდრე სმირნსკის ვინტოვკა. უკანასკნელი ბევრ შემთხვევაში შეიძლება ააცილოთ, თუმცა მისი უპირატესობა ისაა, რომ ის საბრძოლველ ვინტოვკას ჰგავს.

„ტოზის“ გამოწერა შეიძლება „სნაბოსოავიაქიმის“ მაღაზიებიდან. ვინტოვკა დაახლოვებით 32 მანეთი ღირს.

### არასოდეს არ დაუმიზნოთ ადამიანს.

დაიცავით დიდი სიფრთხილე, არასდროს არ დაუმიზნოთ ადამიანს, თუგინდ ხელში გეჭიროთ ცარიელი ან დამტვრეული ვინტოვკა. გაუფრთხილებლობას მრავალი მსხვერპლი მოაქვს.

მოდი შევთანხმდეთ, ყოველ პიონერს, რომელიც არ ისურვებს დაიცვას ეს წესები, წავართვათ მსროლელთა წრეში მაცადინეობის უფლება.

ყოველი გასროლის შემდეგაც იარაღი გეჭიროთ ფრთხილად, ღია საკეტით, პირით სანიშნე ადგილისაკენ.

### როგორ უნდა აწარმოოთ სროლა.

მომართეთ ვინტოვკა და თავისუფლად დაუშვით ჩახმახი; სანამ დაუშვებდეთ ჩახმახს, ამოისუნთქეთ ისე, რომ შემდეგ შეაჩეროთ სუნთქვა, რომ ხელი არ შეგიშალოსთ დამიზნებაში. გასროლას სწრაფად შეეცადეთ. თითოეული გასროლა ნაყოფიერი იყოს, ნუ გაისვრით ტყვილად, თორემ ვერადროს ვერ გახდებით კარგი მსროლელი.

### სროლა დაწოლით.

ამ საშვალებას მიმართავენ სროლის დასაწყისში. ეს ყველაზე უფრო სასარგებლო ხერხია. მიწაზე უნდა გაწვე არა გვერდით, არამედ მუცლით. ფეხები უნდა გამართო რაც შეიძლება, მარცხენა ხელი მოხრილია პირდაპირ კუთხით, ისე რომ ნიდაყვი ვერტიკალურ მდგომარეობაში იყოს.

### დამჯდარი სროლა.

გაივარჯიშეთ, რომ თავისუფლად შესძლოთ მიწაზე დაჯდომა და ადგომა ხელების დაუხმარებლად. ამისათვის უნდა გამოდგათ წინ მარჯვენა ფეხი და მარცხენა კი განზე. შემდეგ შეეცადეთ სწრაფად დაჯდეთ.

დაჯდომის წესი შემდეგნაირია:

ფ[illegible]ები ნახევრად მოხრილია მუხლებში. ტანი იმყოფება მარჯვნივ გადახრილ მდგომარეობაში. ნიდაყვი დაბჯენილია მუხლების წინ.

მეორე პირობაა ფეხმორთხმული ჯდომა. სცადეთ ეს საშვალება, ეგებ ეს თქვენთვის უფრო ადვილი იქნეს.

### სროლა ფეხდგომით.

ეს ძნელია. ტანი შემობრუნებული უნდა იქნეს ნახევრად მარჯვნივ. ფეხები ერთმანეთის პარალელურად. ტანი ორივე ფეხს თანაბრად უნდა აწვეს.

ამ მდგომარეობაში ხელების დაჭერა შეიძლება მრავალგვარად: 1) მარცხენა ხელი გაჭიმულია ვინტოვკის პარალელურად. 2) მარცხენა ხელი ოდნავ მოხრილია და იმყოფება ვერტიკალურ მდგომარეობაში. 3) ყველაზე იოლია, როცა მარცხენა ხელი მოხრილია ნიდაყვში რაც შეიძლება მეტად დაჭიმულად. 4) მარცხენა ხელის ნიდაყვი მიბჯენილია მარცხენა გვერდზე.

### ზოგადი წესი.

ზემოთ აღნიშნულ პირობებში სროლის დროს უნდა დაიცვათ შემდეგი წესი: ვინტოვკა დევს თავისუფლად მარცხენა ხელზე. თითები მხოლოდ იმ როლს ასრულებს, რომ მზადაა შეაკავოს იგი უკიდურეს შემთხვევაში. ვინტოვკას იჭერს მარჯვენა ხელი. ვინტოვკის კონდახი მაგრად უნდა იყოს მხარზე მიბჯენილი, მარჯვენა ლოყა კი კონდახზე—უფრო მეტი სიმაგრისათვის. იმ შემთხვევაში, თუ მარჯვენა ნიდაყვი თავისუფალია და არაფერს არ ებჯინება, იგი უნდა მდებარეობდეს მხარის დონეზე, რომ გასროლის დროს არ მოძრაობდეს.

ივარჯიშეთ სროლაში ამ აღნიშნული წესის მიხედვით და თქვენ კარგი მსროლელი გახდებით.

# ხეხილის მოვლა-მოშენება.

ზაფხულის დადგომას პიონერები და საერთოდ მოწაფე ბავშები დიდი სიხარულით მოელიან: მათ დაითხოვენ საზაფხულოდ, სოფლის სუფთა ჰაერზე ითამაშებენ, მდინარეში იბანავებენ და ათასგვარი ხეხილით ჩაიტკბარუნებენ პირს. ხილი მათ ძალიან უყვართ, თან ისიც იციან, რომ ხილი ძალიან სასარგებლოა ადამიანისათვის, ვინაიდან მასში არის ბევრი ისეთი ნივთიერება, რაც ადამიანის სხეულს სჭირდება. საქართველო ბუნებით მდიდარი ქვეყანაა, რა გინდა, რომ აქ არ იზრდებოდეს, რა ხილი გინდა, რომ ვერ იხეიროს, მაგრამ, სამწუხაროდ, მებაღეობა, ხეხილის მოშენება ყველგან არ არის გავრცელებული. მატარებელი რომ გორში გაჩერდება, ყველა ცდილობს იყიდოს განთქმული „გორის ატამი“, გორის მაზრაზი ბევრია სხვა ხილიც; ვაშლებით, მსხლებით ნაქებია ახალციხე, მაგრამ განა არ შეიძლება „გორის ატამი“ სხვაგანაც ისეთი კარგი იყოს? რასაკვირველია, შეიძლება, შეიძლება საქართველო თვალწარმტაც ხეხილის ბაღად იქცეს, მაგრამ სოფლის მცხოვრებნი ბევრ ადგილას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ამ საქმეს და ძალიან ბევრი სოფელია ისეთი, სადაც დიდი ეზოები აქვთ და შიგ კი ყოვლად გამოუსადეგარი ხეები—ტირიფი, იფნი, თხმელა და სხვა. ეზოს შეუძლია დაიტიოს რამდენიმე ათეული ხე, რომელიც მისცემს პატრონს ვაშლს, ატამს, მსხალს, ლეღვს და სხვა სასარგებლო და გემრიელ ნაყოფს, სოფლელებს კი ეს ვერ მოუხერხებიათ, და ბავშები ხარბი თვალით შესქერიან სოფლად თითო-ოროლა ხეხილის ხეს. განა ეს დანაშაული არაა, განა ეს საკუთარი თავის მტრობას არ ნიშნავს?!

ყოველი პიონერი, ყოველი ბავში ვალდებულია ებრძოლოს სოფლის ცუდ მხარეებს, ვალდებულია გამოასწოროს სოფლის სხვადასხვა ნაკლი, თვალი აუხილოს მშობლებს და მეზობლებს, დაანახოს, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ცხოვრება გავიადვილოთ და გავიუმჯობესოთ.

მაგრამ ვინ შესძლებს სხვის დახმარებას, რჩევა-დარიგების მიცემას? ცხადია, ის, ვისაც საამისო ცოდნა აქვს.

ჩვენ როდესაც უცხო ადგილას მივდივართ, სადაც სხვა ჰავაა, ხანდახან ამ ჰავას ვერ ვიტანთ. ასე ემართებათ ხეხილის ხეებსაც. ამიტომ უმჯობესია თქვენ თვითონ გაიკეთოთ სანერგე. აიღეთ კარგი ჯიშის მწიფე ხეხილი, ვთქვათ, ვაშლი და მსხალი და თესლი დათესეთ შემოდგომაზე ან ადრიან გაზაფხულზე კვალში, რომლის მიწა ფხვიერი და ნოყიერი უნდა იყოს. სჯობია შემოდგომაზე დათესოთ და გაზაფხულზე უკვე ამოვა. თესლი 1 ვერშოკზე უნდა ჩათესოთ ხშირად. კვალს რწყვა უნდა. როდესაც თესლი ამოვა და ფოთოლს გაიკეთებს, ღონდა გადარგოთ ახალ კვალში, 2-3 ვერშოკის მანძილზე ერთმანეთისაგან, ხოლო რიგებს შორის 4 ვერშოკი უნდა იყოს მანძილი. სანამ გადარგავდეთ, ფესვების ძირი უნდა შეაჭრათ და ფოთლამდე ჩარგოთ მიწაში. ნერგს ხშირად უნდა რწყვა, რომ მიწა არ გამოშრეს; უნდა გაუკეთდეს საჩრდილობელი რაიმე, რომ მზემ არ დასწვას, ბალახი უნდა გამოითხაროს და ხოლებს შორის მიწა უნდა მოფხვიერდეს პატარა თოხით. ერთი წლის შემდეგ შეიძლება გადარგვა.

შეიძლება ასეც მოიქცეთ: აიღებთ კვირტს კარგი ჯიშის ხეხილის ხიდან და დაამყნობთ უჯიშო ხეხილზე. რაც უფრო ძირს დაამყნობთ, მით უკეთესია: უფრო ადვილად გაიხარებს და ტანიც სწორი იქნება. დასამყნობ ხეზე დანით გაჭრით კანს აი ასე **T**, შემდეგ ფრთხილად გასწევთ აქეთ-იქით კანს, აიღებთ კვირტიან ტოტს, ჩამოსჭრით კვირტს, რომელსაც თან უნდა მოჰყვეს ხეც კვირტიდან $^1/_2$ ვერშოკი ზევით და ქვევით და ჩადებთ დასამყნობი ხის გაჭრილში, შემდეგ ამ ადგილას წაუსვამთ სანთელს ან ფისს და შეახვევთ ისე, რომ მხოლოდ კვირტი იყოს ღია. ესაა კვირტით მყნობა. ასე მყნობა სჯობს გაზაფხულზე, ფოთლები რომ გაიშლება.

ამის შემდეგ საჭიროა ყურადღების მიქცევა, რომ ნამყენი ხე კარგი გამოვიდეს; გაზაფხულზე სანამ კვირტი გაიშლებოდეს, დამყნილ ხეს გადასჭრიან ისე, რომ მყნობის ადგილიდან ზევით მხოლოდ 3-4 ვერშოკს დასტოვებენ. საჭიროა ტანი ხეს მსხვილი ექნეს და ამიტომ გვერდის ტოტებს აჭრიან; რომ ხე არ გამრუდდეს, მას სარი უნდა მიუსოთ და ზედ მიაკრათ ლაფანით (ქვთელო). სოფლად ხშირად ნახავთ ხეებს, რომლებსაც მეტად ხშირი ტოტები აქვთ. ეს არ არის კარგი, ვინაიდან ამის გამო ნაყოფი უფრო წვრილია, მზის სხივებიც ვერ გადის თავისუფლად, ეს კი ხელს უშლის ნაყოფის წესიერ ზრდა-განვითარებას.

**როგორი ადგილი უნდა ამოვირჩიოთ ხეხილის ბაღისთვის?**

ადგილი უნდა იყოს გაშლილი, მზიანი; ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის ქარებისაგან რაიმეთი (ტყით, შენობებით, გორით) უნდა იყოს დაფარული. ხეხილი ყოველგვარ მიწას ეგუება, მაგრამ არ ვარგა სულ თიხნარი (ფესვების განვითარებას უშლის ხელს), სილნარი (მშრალია) ან ჭაობიანი ადგილი. თუ მიწაში ზედმეტი წყალია, უნდა გაიჭრას არხები, ჩაიყაროს შიგ ქვები და ზემოდან ისევ მიწა წაეყაროს: ამით მიწა დაწდება, ზედმეტი წყალი ამ არხებით წავა.

აუცილებლად საჭიროა, რომ ხეებს მზე თავისუფლად უყურებდეს და დაჩრდილული არ იყოს; ამიტომ ვაშლსა და მსხალს ირგვლივ 3-5 საჟენი თავისუფალი ადგილი უნდა ექნეს, ალუბალსა და ქლიავს—2-3 საჟენი.

სანამ ხეებს დარგავდეთ, საჭიროა ბაღი დაჰყოთ „ჭადრაკის“ წესზე: მაშინ ხეები ერთმანეთს არ შეუშლიან და ყოველგვარი მუშაობაც თავისუფლად შეიძლება.

„ჭადრაკის“ წესზე დაყოფილ ბაღში თითოეული ხე მეზობელი რიგის ორ ხეს შუა მოდის.

იქ, სადაც ხე უნდა ჩაირგოს, პალოს ასობენ და შემდეგ კი ორმოებს სთხრიან; თუ ხე გაზაფხულზე უნდა დაირგას, ორმოს შემოდგომაზე თხრიან, თუ შემოდგომაზე უნდა დაირგას—გაზაფხულზე. ორმოს განი და სიღრმე იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია მიწა. ხშირად საკმარისია: განი—1 საჟენი, სიღრმე—$^3/_4$ საჟენი.

ორმოს თხრის დროს ზემო ფენა ერთ მხარეს უნდა დაიყაროს, ქვემო ფენა (ამოსაღები მიწის მეორე ნახევარი) მეორე მხარეს. საინტერესოა, რათ უნდა მოვიქცეთ ასე? ზემო ფენაში მეტია დამპალა, მეტია სინოყიერე და ამიტომ ხის ჩარგვის დროს ეს ფენა ძირს უნდა ჩაყაროთ, რომ ფესვებს საკვები ექნეს, ქვემო ფენა კი ზევით უნდა მოაქციოთ. თუ ქვემო ფენა მეტად ცუდია, მას უნდა დაემატოს ნეხვი ან სხვა პატივი, ორმოს ძირში უნდა ჩაისოს სარი, რომელზეც უნდა მიაბათ დარგული ხე.

თუ საკუთარი ნერგი არა გაქვთ, უნდა შეიძინოთ. სადგურ სკრაში ჰკიდიან ასეთ ნერგებს. ეს ნერგები იაფია და კარგიც არის.

ხეს ძალიან კარგი მოვლა სჭირდება. ეს მოვლა შეიძლება 3 ნაწილად გავყოთ: 1) მოვლა ტოტების, 2) ტანის და 3) ფესვების.

თუ ტოტები მეტად ხშირია, ხე ბევრ ყვავილსაც კი გამოიღებს, მაგრამ არ ეყოფა ძალ-ღონე, რომ საკმაო საზრდო მიაწოდოს და აუარებელი ყვავილი გასცვინდება. გარდა ამისა, მზის სხივები ვერ შეაწევს ხშირ ტოტებში, რის გამოც ნაყოფი დაჩრდილული, უგემური იქნება, ტანს ვერ დაისრულებს, ჰაერსაც არ იქნება საშუალება თავისუფლად იმოძრაოს ტოტებში. ამნაირი ხშირტოტებიანი ხე ბევრ სარგებელს ვერ მისცემს პატრონს, მისი ძალ-ღონე ტოტების კვებას მოუნდება. რომ ეს ავიცდინოთ თავიდან, ტოტები უნდა გამოვხშიროთ, გამოვჭრათ, მაშინ დატოვებული ტოტები დამსხვილდება და მზესაც გზა გაეხსნება. ასეთი შემოჭრა ტოტებს ყოველწლიურად უნდა 5 წლის განმავლობაში. ამ წლებში ნაყოფიც არ უნდა შეარჩინოთ ხეს: ასუსტებს.

ხშირად ხმელი ტოტებიც აქვს ხეს. ამ ტოტებში ბუდობს ათასგვარი მავნებელი და ამიტომ აუცილებლად უნდა მოიჭრას ყველა ხმელი ტოტი. გამოხშირვა და საერთოდ გამოჭრა ტოტების შეიძლება შემოდგომაზე, ზამთარში, ან ძალიან ადრეც გაზაფხულზე, როდესაც ხეს ჯერ კიდევ სძინავს, წვენი არ ჩადგომია.

ხის ტანსაც დიდი ყურადღება სჭირდება. არ უნდა დააზიანოთ მისი ქერქი, თუ რაიმე ჭრილობა აქვს, უნდა შეუხვიოთ, შემოაცალოთ ძველი, უვარგისი ქერქი.

ხე უფესვოდ ვერ გასძლებს, ფესვები აწვდის მას საკვებს. ამიტომ საჭიროა ზრუნვა ფესვებზე. რა უნდა ვქნათ ამისათვის? მიწა ხის გარშემო უნდა გაიფხვიეროთ (დაბარვით, დათოხნით): მაშინ ფესვები უკეთ იღებენ ჰაერს, კარგად სუნთქავენ და ტენიც უფრო ცოტა აორთქლდება (ფხვიერი მიწა ხელს უშლის წყლის აორთქლებას). ეს განსაკუთრებით საჭიროა სამხრეთის ქვეყნებში, სადაც წყალი შედარებით ცოტაა, აორთქლება კი დიდი. ბალახი, რომელიც იზრდება ხის ძირას და ართმევს მას ჰაერის, წყლისა და საკვები ნივთიერების ნაწილს, სულ უნდა გადაითხაროს.

თუ ტენი საკმაო არაა მიწაში, შეიძლება მივუშვათ წყალი, ან მოვრწყოთ სარწყულებით. ცივი წყლით (ჭის, წყაროს წყალი) რწყვა მავნებელმა. წყალი ან მდინარის უნდა იყოს, ან წინასწარ უნდა ჩაასხათ რაიმე ჭურჭლებში, რომ ჰაერის ტემპერატურა მიიღოს.

რადგან მიწა თანდათან იფიტება, მას გაპატივება სჭირდება. პატივად ხმარობენ ნეხვს ან დამპალას; ძალიან კარგია ამ მიზნით „კომპოსტი“ (დამპალი სხვადასხვა ნარჩენები და ნაყარ-ნუყარი). ქლიავსა და ალუბალს უყვარს, როდესაც მიწაში კირი ურევია და ამიტომ ხელოვნურადაც აძლევენ კირს.

სოფლად ყოველ ოჯახს შეუძლია იქონიოს ყოველგვარი ხილი ოჯახისთვის, ხოლო თუ გასაყიდად უნდა, მაშინ უნდა შეარჩიოს უფრო გამოსადეგი ერთ-ერთი ჯიში და ის გააშენოს. ზოგან, სადაც სოფელი რკინისგზის ახლოსაა, ზაფხულზე ხეხილი სოფლელებს საკმაო შემოსავალს აძლევს, ქართლში კი, გორის მაზრაში, ხეხილი ფრიად დიდ შემოსავალს იძლევა.

ამრიგად, არცერთი უსარგებლო ხე არ უნდა იყოს ეზოში. ყოველმა პიონერმა, ყოველმა მოწაფემ უნდა ისწავლოს და სხვებსაც ასწავლოს ხეხილის ფშანის დარგვა, მყნობა და მოვლა, ზოგი ხეხილი ნაზია და ზოგან ვერ ხეირობს—სიცივე სწვავს მის ყვავილს, მაგალითად, ზემო იმერეთის ზოგიერთ მთიან ადგილას აუარებელი კომშია (ბია), მაგრამ რადგან ცივა, ყვავილი ძალიან ცოტა თუ შერჩება. სხვა ხეხილი კი, რაც კარგად ხეიროობს, ცოტაა. აი, ასეთ უხეიროობასთან სასტიკი ბრძოლაა საჭირო და ეს უნდა იკისრონ უპირველეს ყოვლისა პიონერებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭ ა დ რ ა კ ი

**ეტლი ორი პაიკის წინააღმდეგ.** მოვიყვანოთ საამისო რამდენიმე შემთხვევა. ამისთანა პირობებში ბრძოლის შედეგი იმაზეა დამოკიდებული, თუ მოპირდაპირე მეფეებს რა პოზიციები უჭირავთ და პაიკები რა მდგომარეობაში და რომელ ჰორიზონტალზე იმყოფებიან. თუ პაიკების მოპირდაპირე მეფე დაშორებულია მათზე, ხოლო თვით პაიკები შეკრულნი, გამაგრებულნი არიან და უკვე მეექვსე ჰორიზონტალზე იმყოფებიან, მაშინ გამარჯვება პაიკების მხარესაა (იხ. დიაგრ. № 1). აქ პირველი სვლა ვისიც არის, მოგებაც იმისია. თეთრების სვლა:

1. e 5—e 6 ე b 2—e 2
2. e 6—e 7 ე e 2—e 6
3. f 6—f 7 ე e 6 : e 7
4. f 7—f 8 ლ

მოგება თეთრებისაა.



დიაგრამა № 1.

სვლა შავებისაა. აქ თეთრი მეფე მიშველებას ვერც კი ასწრებს და ორივე პაიკი იღუპება.

1. . . . . ე b 2—f 2

თეთრები მეფეს აჩქარებენ

2. მ c 1—d 1 ე f 2—f 5
3. მ d 1—d 2 ე f 5 : e 5
4. მ d 2—d 3 ე e 5—f 5

მეორე პაიკიც იკარგება.

ეტლს შეკრული პაიკების წინააღმდეგ უჭირდება ბრძოლა, თორემ განმხოლოებულ პაიკს სულ ადვილად უსწორდება. ავიღოთ ეტლისათვის ყველაზე არახელსაყრელი მდგომარეობა: ორი გამხოლოებული პაიკი (შავები) მე-2 ჰორიზონტალზე არის, ხოლო ეტლის მეფე დაშორებულია.

პირველი სვლა შავებს რომ ეკუთვნოდეს, მათი გამარჯვება უცილობელია; ხოლო თეთრებისა რომ იყოს პირველი სვლა—მათთვის ისიც კარგი იქნება, რომ ბრძოლა ფათად გაათავონ. თეთრებიც სწორედ ამისაკენ ისწრაფვიან. შეცდომა იქნება პაიკის (a 2) მოკვლის მიზნით ეტლმა მეფეს ქიში გამოუცხადოს. ამ შემთხვევაში პაიკი h 2 ლაზიერად გადიქცევა. თეთრების საუკეთესო სვლაა: ეტლი პირველ ჰორიზონტალზე დააყენონ, რომ შავ პაიკებს გაფიგურების გზა გადეღობოთ. ამიტომ

1. ე d 8—d 1

ცხადია, შავებს არ შეუძლიათ პაიკით თამაში და ამიტომ მეფეს ამოქმედებენ

1. . . . . მ a 5—b 4

თეთრები ასეთ ვარაუდს ეწევიან: თუ შავი მეფე თავის მეორე სვლაზე მესამე ჰორიზონტალზე დაჯდა პაიკის მისაშველებლად, ეტლს h 1-ზე დავსვამ იმ მოლოდინში, რომ შავი მეფე მეორე ჰორიზონტალზე გადმოვაო. ამიტომ თეთრები მეორე სვლაზე ეტლს ხელუხლებლად სტოვებენ და მეფეს ათამაშებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მ h 8—g 7 მ b 4—b 3
3. ე d 1—h 1 მ b 3 b 2?
4. ე h 1 : h 2+ მ b 2—b 1
5. ე h 2 : a 2 მ b 1 : a 2

ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა. მაგრამ შავებს შეეძლოთ უფრო მეტი წინააღმდეგობა გაეწიათ—სვლა (3) b 3—b 2 აშკარად არ ვარგოდა. მაგრამ ბოლოს თამაში მაინც უშედეგოდ დამთავრდებოდა.

**პაიკი პაიკის წინააღმდეგ.** კოჭების რაოდენობისა და მათი ძალის მხრივ ასეთ შემთხვევაში ძალთა თანაბრობაა დაცული, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბრძოლა უეჭველად უშედეგოდ დამთავრდეს. ბრძოლის ბედს სწყვეტს ის გარემოება, თუ თვით პაიკებსა და მათ მეფეებს რა პოზიციები უჭირავს—ე. ი. თუ რომელი პაიკი გალაზიერდება. ავიღოთ ასეთი მდგომარეობა (იხ. დიაგრ. № 2). აქ თითქოს სრული თანაბრობაა, მაგრამ დაკვირვებული თვალი დაინახავს, რომ გამარჯვება თეთრებისაა; მაგალითად, თამაში შავებისაა:

1. . . . . მ g 6—f 5
2. მ c 6 - d 6

შავები იძულებულნი არიან პაიკი დაჭკარგონ, რადგანაც მის დასაცავად ვერც f 6—ს იჭერენ და ვერც თეთრ პაიკსა ჭკლავენ. ვთქვათ, შავებმა ითამაშეს ასე:

1. . . . . მ g 6—f 7
2. მ c 6—d 6.

აქაც იგივე მდგომარეობაა შექმნილი.



დიაგრამა № 2.

ახლა პირველი სვლა თეთრებისა იყოს.

1. მ c 6—d 7 მ g 6—f 5
2. მ d 7—d 6

შავები კვლავ ჭკარგავენ პაიკს. ვათამაშოთ შავები სხვანაირად:

1. მ c 6—d 7 მ g 6—f 7
2 d 7—d 6

და კიდევ ჭკარგავენ.

თეთრები წააგებდენ იმ შემთხვევაში, პირველ სვლაზე რომ ასე წასულიყვნენ:

1. მ c 6—d 6 მ g 6—f 5

თეთრები ახლა შავების მდგომარეობაში ვარდებიან და იძულებულნი ხდებიან პაიკი დაჭკარგონ.

თეთრი მეფე რომ b 7-ზე იჯდეს და თეთრი პაიკი e 4-ზე, ხოლო შავი მეფე და მისი პაიკი h 7 სა და e 6-ზე, მაშინ თამაშის ბედი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ პირველ სვლას ვინ გააკეთებს. თუ სვლა თეთრების იქნება, მოგებულნი ისინი დარჩებიან, თუ შავების—თამაში უშედეგოდ დამთავრდება. სვლა თეთრებისაა:

1. e 4—e 5

ეს სვლა თეთრების მოგების საკითხს სწყვეტს: პაიკი რომ e 5-ზე არ დაესვათ ახლა, თეთრები ვერ გაიმარჯვებდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. . . . . ♞ h 7—g 6
2. ♞ b 7—c 7.

ამნაირად ძველი მდგომარეობა შეიქნა, რომლის დროსაც თეთრები იგებენ. მაგრამ პირველი სვლა რომ შავებს მივცეთ, თამაში ფრე იქნება, რადგანაც შავი პაიკი e 6—e 5-ის სვლით თეთრ პაიკს e 4-ზე აჩერებს.

**ორი პაიკი ერთის წინააღმდეგ.** ყოფილ მსოფლიო ფალავანს კაპაბლანკას საუცხოვო მაგალითები მოჰყავს პაიკების ენდშპილის შესახებ და გვიჩვენებს, თუ რა მდგომარეობაში როგორ უნდა იქნეს მიტანილი იერიში და როგორ უნდა დაიცვას თავი მოპირდაპირემ (იხ. დიაგრ. № 3). ასეთნაირ მდგომარეობაში თეთრებმა აუცილებლად უნდა მოიგონ, თუ, რასაკვირველია, შეცდომა არ ჩაიდინეს. მაგალითად, პაიკზე იერიშის მიტანა (f 5—f 6) შეცდომა იქნება და ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდება. თეთრების სვლა ასეთი უნდა იყოს:

| | |
|---|---|
| 1. ♞ e 6—d 7 | ♞ f 8—g 8 |
| 2. ♞ d 7—e 7 | ♞ g 8—h 8 |
| 3. f 5—f 6 | g 7 : f 6 |
| 4. ♞ e 7—f 7 | |



დიაგრამა № 3.

და მოგება უკვე უზრუნველყოფილია, ვინაიდან ორი სვლის შემდეგ პაიკი (g 6) გალაზიერდება.

ავიღოთ მეორე მაგალითი: თეთრი მეფე d 4; თეთრი პაიკები: f 4 და g 4; შავი მეფე d 6; შავი პაიკი g 7. როგორც ვხედავთ, აქ მეფეებს ურთიერთისადმი ოპოზიცია უჭირავთ. თეთრებს საშუალება აქვთ ასეთნაირად განავითარონ თამაში:

| | |
|---|---|
| 1. ♞ d 4—e 4 | ♞ d 6—e 6 |
| 2. f 4—f 5+ | ♞ e 6—f 6 |
| 3. ♞ e 4—f 4 | g 7—g 6 |

რასაკვირველია, თეთრები არ უნდა წამოეგონ ანკესზე და არ უნდა მოჰკლან პაიკი g 6, რადგანაც ამას ფრესკენ მიჰყავს თამაში; უკეთესია სვლა:

| | |
|---|---|
| 4. g 4—g 5+ | ♞ f 6—f 7 |
| 5. f 5—f 6 | ♞ f 7—e 6 |
| 6. ♞ f 4—e 4 | ♞ e 6—f 7 |
| 7. ♞ e 4—e 5 | ♞ f 7—f 8 |

ახლა საინტერესო მომენტი დგება. კაცს ეგონება, ლაზიერის პირველი კანდიდატი პაიკი f 6—ია; ნამდვილად კი ამ პაიკის გაფიგურება არ შეიძლება, ვინაიდან, თუ თეთრებმა ითამაშეს:

8. ♞ e 5—e 6

შავები უპასუხებენ . . . . ♞ f 8—e 8
ე. ი. დაიჭერენ ოპოზიციას და, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ვიცით, ასეთ მდგომაოეობაში (როდესაც მეფე პაიკს გვერდიდან იცავს და არა წინიდან) ბრძოლა უშედეგოდ მთავრდება. მართლაც

| | |
|---|---|
| 9. f 6—f 7+ | ♞ e 8—f 8 |

ამაზე თეთრი მეფე ან უნდა დაშორდეს და მაშინ ♞ f 8:f 7 ან და

10. ♞ e 6—f 6

რასაც ფათა მოსდევს.

თეთრებმა მეშვიდე სვლის შემდეგ ასე უნდა მაშონ:



დიაგრამა № 4.

| | |
|---|---|
| 8. f 6—f 7 | ♞ f 8—f 7 |
| 9. ♞ e 5—d 6 | ♞ f 7—f 8 |
| 10. ♞ d 6—e 6 | ♞ f 8—g 7 |
| 11. ♞ e 6—e 7 | ♞ g 7—g 8 |
| 12. ♞ e 7—f 6 | ♞ g 8—h 7 |
| 13. ♞ f 6—f 7 | ♞ h 7—h 8 |
| 14. ♞ f 7 : g 6 | |

და ამით ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტ
რადგანაც თეთრების მორიგი სვლით (♞ g 6—h 6) ა
ფიგურად გადაქცევა უზრუნველყოფილია.

ფრიად საგულისხმოა მკითხველს გავაცნოთ ეგ
წოდებული კლასიკური ბოლო, როდესაც ერთ მხ
ორი პაიკი იბრძვის, ხოლო მეორეზე ერთი.

კაპაბლანკა შავების ბრძოლას სამ ნაწილად ჰყოფს. პირველი ნაწილი: ხელუხლებლად უნდა იყოს დატოვებული შავი პაიკების პოზიციები, ხოლო მეფემ უნდა დაიჭიროს უჯრა h 3. მეორე ნაწილი: პაიკი h 6 წინ წამოიწიოს, ხოლო მესამე ნაწილი იქნება: პაიკი g 7 წინ წამოიწიოს იმ ვარაუდით, რომ თეთრი მეფე როდესაც h 1-ზე იქნება, მაშინ პაიკი g 3 ზე დადგეს. პირველი ნაწილის შესრულება ხუთ სვლას მოითხოვს, მეორე ორს
უკანასკნელი ოთხს, რის შემდეგაც შამათი სამი სვ
კეთდება. ამნაირად:



დიაგრამა № 5.

| | |
|---|---|
| 1. ♞ g 2—g 3 | ♞ e 4—e 3 |
| 2. ♞ g 3—g 2 | ♞ e 3—f 4 |
| 3. ♞ g 2—f 2 | ♞ f 4—g 4 |
| 4. ♞ f 2—g 2 | ♞ g 4—h 4 |
| 5. ♞ g 2—g 1 | ♞ h 4—h 3 |
| 6. ♞ g 1—h 1 | h 6—h 5 |
| 7. ♞ h 1—g 1 | h 5—h 4 |
| 8. ♞ g 1—h 1 | g 7—g 5 |
| 9. ♞ h 1—g 1 | g 5—g [illegible] |
| 10. ♞ g 1—h 1 | [illegible] |
| 11. h 2 : g 3 | h 4—[illegible] |
| 12. ♞ h 1—g 1 | [illegible] 2 |

და შავების მოგება უზრუნველყოფილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოდის 1928 წ. გამოდის

## ტრკვირეული საყმაწვილო დასურათებული

## ჟურნალი

მოზრდილთათვის

# პიონერი

წელიწადი III

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის საპალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწერონ

## პიონერი

ქიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში — 5 მან.
ექვს თვეს — 3 მან.
სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელგამი (მეორე სართული). „პიონერი"-ს და „ოქტომგრელი"-ს რედაქცია.

რედაქტორი — სარედაქციო პოლეგია.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. ბლეხ. პრ. № 91.

ნთავარლიტი № 1302. შეკვ. № 1236. ტირაჟი 1000.